რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 14 ივნისი 1917 წ.

ერთობა

„თანამედროვე აზრის“ გაგრძელება

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამუდმივო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი, ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს.-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Т[illegible] Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 71 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 71

ამხანაგებო! შეგვაძინეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

15 ივნისს სრულდება წლიწადი

ნიკოლოზ (ნიკა) ვასილის ძე კანდელაკის

გარდაცვალების შემდეგ, რასაც დამწუხრებული მშობლები: მღვდელი ვასილ კანდელაკი და ოლღა კანდელაკისა, დები: სოფიო, ნადეჟდა, ალექსანდრა და ბარბალე, ძმები: ევგენი, ვასილი და ბორისი აუწყებენ ნათესავთ და მიცვალებულის ამხანაგებს. პანაშვიდი 15 ივნისს, ქ. ქუთაისში. ოლასკურას სასაფლაოს ეკლესიაზე. შუა დღის 12 საათზე. 2—1

საარჩევნო ბიურო მე-10 სამილიციო უბნისა

მოთავსებულია მიხაილოვის ქუჩაზედ № 102, ეზოში (ქართული წრის კანტორაში) და ავჭალის არდიტორიაში, სადაც შეიძლება, გამორჩენილი წევრების ჩაწერა და საჭირო ცნობების მიღება ყოველ დღე დილის 10—12 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე.

საარჩევნო ბიურო რ. ს. დ. მ. პ.

საარჩევნო ბიურო მე-9 სამილიციო უბნისა

მოთავსებულია მეცხრე უბნის სასურსათო კომიტეტის ბინაზე (რეუტოვის ქუჩა № 31) ტელეფონი 16—29. ყველა ის პირნი, რომელნიც არ არიან შეტანილი საარჩევნო სიაში ვთხოვთ გამოცხადდენ ჩასაწერათ საარჩევნო ბიუროში (რეუტოვის ქუჩა) ამხ. ლაბაურთან.

საარჩევნო ბიურო რ. ს. დ. მ. პ.

თფილისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი

გადავიდა ახალ ბინაზე ბებუთოვის და რტიშჩევის ქუჩის კუთხეში 25—22. ტელ. 13—40.

ინტელიგენტ ქალთა ჯგუფის

[illegible] გაიხსნა მოკლე ვადიანი კურსები. ასწავლიან ჭრა კერვას და ყოველ გვარ ქარგვას. მოწაფეების მიღება გრძელდება. სწავლის ფასი ხელ მისაწვდომია ყველასათვის. ღარიბები მუქთად. აქვე მიიღება შესაკერავათ კაბები და სხვა.

მისამართი: ვერის დაღმართი, სახლი № 3. ბინა № 9. ეზოში. (10—5)

1-ლი თფ. ინტერნაციონალური შრომის არტელი

იღებს ყოველგვარ სამუშაოს:

სახარატო-მექანიკურ სასლესრო-საწყალსადენო, სპილენძისა, ცინკისა და ჟესტის სამუშევრებს, აგრეთვე იღებს ავტომობილების რადიატორებს, და ფარორებს.

ფედოროვის ქ. № 1, ფედოსიევის ეკლესიის პირდაპირ. 4—4

მოქალაქენო, იუველირებო, გრავიორებო და მესაათებო.

ოთხშაბათს, 14 ივნისს, საღამოს 7 საათზე, სახელოსნო უპრავაში კომისია, რომელიც იმუშავებს საზოგადოების წესდებას, იწვევს

საზოგადო კრებას

დღის წესრიგი: წესდების განხილვა და დამტკიცება, არჩევა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა. გთხოვთ ნუ დაიგვიანებთ. 1—1

სტუდენტი

ამზადებს ყველა სასწავლებლისთვის, აგრეთვე სხვადასხვა ხარისხის და წოდებაზე. ვერა. ყაზბეგის ქუჩა № 5. 6—4

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ზაქრაძის სახლი.

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგან ავათმყოფობა ჭლექისა და გულის. იღებს ახალ რენდგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყველანაირ ჭლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავისტკივილის,—ტიმპითა. დიდი სალინოიდი სპეციალური მეთოდი და არსონვალის ტოკით ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარის ჭლექის, სისხლ ნაკლებობის, ქმილობის, ნევრალგიისთვის. ზურგმალის ტვინის ავათმყოფობის ასთმის, ბუასილი, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7 ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ღ. საათამდე

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები

მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა საღამოს 5—7 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (დორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან.

ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

გერმანიის სოციალ-დემოკრატების უმრავლესობა გამოფხიზლდა.

გერმანიის სოციალ-დემოკრატების უმრავლესობა—ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ ოპორტუნისტები გამოფხიზლდენ და ისინი მარქსისტულ ინტერნაციონალურ შეხედულებას უბრუნდებიან. ახლა პარტიული ოპორტუნისტები ჩვეულებრივ გზას თანდათან ეთხოვებიან და იმპერიალისტური პოლიტიკის სრულ უსამართლობას საქვეყნოთ აღიარებენ. ის შეცდომები, რომელიც კი მათ ამ ომის განმავლობაში ჩაიდინეს—უნდათ თავიდან აიცილონ და რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მიერ შემუშავებულ საზავო ლოზუნგებს იწონებენ.

შვეციის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ ორგანო „სოციალ დემოკრატენ“-ში დაბეჭდილია გერმანიის სოციალ-დემოკრატიის უმრავლესობის დელეგატების პასუხი პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს მიერ საერთო კონფერენციაზე მიწვევის შესახებ. ისინი სწერენ: „გერმანიის სოციალ-დემოკრატები მზათ არიან დაესწრონ კონფერენციას, რადგან ომის დროს იგინი მუდამ ცდილობდენ რაიმე გაეკეთებინათ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის შესათანხმებლად და სალამს უძღვნიან რუსეთის დემოკრატიის მიერ წამოყენებულ პრინციპს—ომი უკონტრიბუციო და უანექსიო—ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე. გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლა თავის ქვეყნის განვითარება-გაძლიერებისათვის ჰბადებს მათში შეუდრეკელ სურვილს მეზობლათ დემოკრატიული რუსეთი ეყოლოს. საჭიროა შეთანხმებული მუშაობა და თუ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო ამ აზრისა არის, მან ამის შესახებ გარკვეული წინადადება უნდა წამოაყენოს.

დიდ-რუსეთის დიდმა რევოლუციამ გერმანიის მუშათა კლასი აამოძრავა და პარტიის ოპორტუნისტული ინტელიგენტური ძალებიც მასის სურვილისამებრ ამეტყველდენ. ჩვენ არა ერთხელ და ორხელ გვითქვამს, რომ საერთოდ და განსაკუთრებით კი გერმანიის მუშათა კლასი თავისი პარტიული და პროფესიონალური კავშირებით არ არის ოპორტუნისტული; იგი საერთოდ ყოველ საზოგადოებრივ მოვლენას ობიექტიური პირობების მიხედვით აფასებდა და მისი მოქმედებაც მუდამ მარქსისტული ყოფილა. ოპორტუნიზმსა და რევიზიონიზს პარტიის ინტელიგენტურ წრეებში ქონდა ასე თუ ისე გასავალი და უკანასკნელების შეხედულება არა დროს მასის სახელმძღვანელო პრინციპათ არ გახდარა. ობიექტიური პირობები და საზოგადოთ საზოგადოებრივი ურთიერთობა ყველაფერია, ხოლო პარტიის წევრთა ოპორტუნისტული შეხედულება კი უმნიშვნელო და წარმავალია.

საერთო ეკონომიური და სოციალურ ძალთა განწყობილების მეოხებით საერთაშორისო დემოკრატიამ ვერ მოახერხა იმპერიალისტების ალაგმვა და უკანასკნელებმა მთელი ევროპის მუშათა კლას თავზე მსოფლიო ომი დაატეხეს.

დაიწყო საშინელი და კაცობრიობის ეკონომიური და კულტურული ავლა-დიდების გამანადგურებელი ომი, რომლის გამოც ყველაზე მეტათ თვით ინტერნაციონალური პროლეტარიატი და წვრილი შეძლების კლასები დაზარალდენ. რაც დრო გადის კაცობრიობის სულიერი და ნივთიერი ძალა ნადგურდება და იგი განსაცდელში ვარდება.

აი ასეთმა უკუღმართმა პირობებმა შექმნა ის ობიექტიური პირობები, რომლებმაც მეომარ და ნეიტრალურ სახელმწიფოების მუშათა კლასი გამოაფხიზლა და იმპერიალისტების დაპყრობითი პოლიტიკა ძირიან-ფესვიანათ შეარყია.

აქ მთავარი როლი რუსეთის რევოლუციონურმა დემოკრატიამ ითამაშა. მეფის მთავრობის მიერ დაწყებულმა ომმა რუსეთის—ისედაც დაქვეითებული ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა შეარყია და მთელი სახელმწიფოს არსებობა განსაცდელში ჩააყენა. ასეთ პირობებში რუსეთის დემოკრატიამ შესძლო დახავსებულ რეჟიმის დამსხვრევა და ამასთან ერთა მსოფლიო ომის შეჩერების ლოზუნგის წამოყენება.

რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი—ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე აშენებული მოითხოვა და ამათ მოწოდებას ყველაზე უწინ გერმანიისა და ავსტრიის მუშათა კლასი გამოეხმაურა. მათი ასეთი გამოხმაურება გამოწვეულია იმავე საერთო ეკონომიურ და სოციალურ პირობებით, რომელმაც ნიადაგი მოუმზადა იმავე საერთაშორისო ომის წარმოშობას. გერმანიის მუშათა კლასი ყველაზე მეტათ დაზიანდა; მისი ეკონომიური და სულიერი კეთილდღეობა ყველაზე მეტათ შეირყა. მსოფლიო ბაზრის მოწყვეტამ, ყოველ მხრივ მტრით შემოსევამ შექმნა ისეთი ნივთიერი და საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომ მისთვის არსებული მდგომარეობა მეტის-მეტად აუტანელი გახდა. ობიექტიურმა მდგომარეობამ კი გერმანიის მასა გამოაფხიზლა და მას, როგორც კი დრო და საშუალება მიეცა მედგრათ ახმაურდა.

თვით გერმანიის იმპერიალისტურმა პოლიტიკამ თავისი წიაღიდან წარმოშობა ის ძალა, რომელიც ეხლა ხმას იმაღლებს და რუსეთის პროლეტარიატს ზავის საკითხში გვერდში უდგება. გერმანიას ისტორიულად გათვითცნობიერებული და კლასობრივათ დარაზმული პროლეტარიატი უკვე მთელი თავისი სიძლიერით ითვალწუნებს არსებულ ომის საშინელებას და იგი რუსეთის რევოლუციონერების ზავის პირობებს უერთდება.

ასეთ პირობებში თავის თავად საგულისხმოა ოპორტუნისტები ანუ სოციალდემოკრატების უმრავლესობა მასის ძლიერ გავლენას იძულებული ხდება გამოეხმაუროს და უკანასკნელიც უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს მოითხოვს.

რუსეთისა და გერმანიის დემოკრატიის იდეური გაერთიანება, ომის საკითხში შეთანხმება მთავარი თავდებია იმის, რომ მალე მათ სხვა სახელმწიფოების დემოკრატიაც გვერდში ამოუდგებათ და საშინელ ომს ბოლო მოეღება.

ზავის დემოკრატიულ ნიადაგზე ჩამოგდება კი თავდები იქნება იმის, რომ ევროპის პროლეტარიატი საბოლოო მიზნისაკენ მედგრათ წინ გაექანება.

გლეხთა ყრილობა.

ამ ერთი კვირის წინათ თფილისში დამთავრდა გლეხთა და მუშათა დელეგატების ყრილობა. სამწუხაროდ ყრილობა სრული არ იყო და ყველა კუთხიდან მას წარმომადგენლები ვერ დაესწრენ. განსაკუთრებით მცირე წარმომადგენლები ყავდა აღმოსავლეთ კავკასიას. სომხების და თათრების პროვინციებმა ვერ მიიღეს მონაწილეობა ყრილობაში. ეს ამიტომ კი არა, რომ მათ არ უნდოდათ დასწრებოდენ ამ ყრილობას, არამედ იმიტომ, რომ ხსენებულ პროვინციებში ჯერ-ჯერობით არ არის მოწყობილი გლეხთა საბჭოები, და როგორც ვიცით, მხოლოდ ასეთი ორგანიზაციები გზავნიდნენ წარმომადგენლებს ყრილობაზე.

პირველი ყრილობის ნაკლი შევსებული უნდა იქნას გლეხთა ახალი ყრილობის მოწვევით. ეს აზრი იმ დღესვე გამოითქვა, რა წამს კი შეამჩნიეს პირველი ყრილობის სისუსტე. გლეხობა რევოლუციის მთავარი ბურჯთაგანია. ის ერთი უმთავრესი მამოძრავებელი ძალა რევოლუციის და მათი შეკავშირება, გლეხური ძლიერი ორგანიზაციის შექმნა—თავდები იქნება სრული გამარჯვების.

ამიტომ გლეხთა კავშირის წარმომადგენლებმა განიზრახეს მოიწვიონ 19 ივნისისთვის ამიერ-კავკასიის გლეხთა სრული ყრილობა.

ჩვენ ვიცით, რომ ამიერ-კავკასიაში ქართველი გლეხობა უფრო მომზადებული, ფხიზელი და პოლიტიკურათ გაწვრთნილი ელემენტია ვიდრე სხვა ეროვნების გლეხობა. ამიტომ აუცილებლათ საჭიროა ამ ყრილობას ბლომათ დაესწრონ ქართველი გლეხობის წარმომადგენლები და ყრილობის მუშაობაში ენერგიული მონაწილეობა მიიღონ. ამ ყრილობაზე გაარჩევენ ამიერ კავკასიის გლეხთა საჭირბოროტო კითხვებს. ის რეზოლიუციები, რომელსაც მიიღებს ეს ყრილობა ერთნაირათ სავალდებულო იქნება ყველასათვის—ამიტომ საჭიროა ჩვენი საქმე ჩვენვე გავაკეთოთ და აუცილებლათ დავესწროთ ყრილობას.

ამოირჩიეთ დელეგატები კვირას 19 ივნისს საზოგადოების ყრილობაზე. ერთი საზოგადოება 1000 კომლიანი, ანდა 5000 სულიანი ირჩევს ერთ წარმომადგენელს და ორს წარმომადგენელს თუ საზოგადოებაში ხსენებულ ცხოვრებთა მეტია.

უნდა აირჩიოთ თქვენი ინტერესების ჭეშმარიტი დამცველი.

შეგიძლიათ აირჩიოთ არა მეურნეც—თუ ის თქვენი ინტერესების დამცველია, არჩევა კი შეუძლიათ მხოლოდ მიწის მუშებს, კაცებს და ქალებს 18 წლიდან.

ამორჩეულებს თან უნდა ჰქონდეს თავისი საზოგადოების მოწმობა და ოქმი იმის შესახებ, რომ ის არჩეულია 19 ივნისის გლეხთა ყრილობაზე.

ვინც ასეთ მოწმობას თან არ წამოიღებს იმათ არ ექნებათ გადამწყვეტი ხმა ყრილობაზე.

თფილისში დელეგატებისათვის დამზადებული იქნება უფასო ბინები.

აუცილებლათ დაესწარით ამ ყრილობას გამოგზავნეთ დელეგატები.

ამიერ კავკასიის რ. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციათა დელეგატების სიეზდი.

(გაგრძელება, იხ. „ერთობა“ № 70)

საოლქო კომიტეტის მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. **ნოე რამიშვილი.** მომხსენებელი ეხება კომიტეტის მუშაობას უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში და ამბობს, რომ მის სათავეში ყოველთვის იდგენ თითქმის ერთი და იგივე პირები, რომლებიც მიუხედავათ ათასგვარ დაბრკოლებისა მედგრათ განაგრძობდენ მუშაობას და დღეს კი ს.-დემოკრატია სათავეში მოექცა მთელს მოძრაობას. ჩვენი ამორჩეულები ხელმძღვანელ როლს თამაშობენ რუსეთის რევოლუციაში და მათი ღვაწლი, ეს თქვენი ღვაწლიცაა. ომმა ბევრი საუკეთესო ამხანაგები გამოგვტაცა, პარტია განსაცდელში ჩავარდა, დადგა კითხვა, მიგვეღო მონაწილეობა ომში თუ შევრჩენოდით ინტერნაციონალს. კავკასიის ს.-დემოკრატიის სასახელოთ უნდა ითქვას, რომ იგი ერთგული დარჩა ინტერნაციონალური დროშისა. 1914 წლის აგვისტოში შემდგარმა ჩვენმა კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომ ის არ მიიღებს მონაწილეობას ომში და ყოველივე საშუალებით შეეცდება მის შეწყვეტას ინტერნაციონალურ კონგრესების დადგენილების თანახმათ. მხოლოდ ცალკე პიროვნებებმა თუ გადაუხვიეს ამ დადგენილებას.

მეტად ძნელი იყო გაზეთის გამოცემა. მაშინ რედაქცია არ არსებობდა, იგი მოთავსებული იყო ცალკე პირების ჯიბეში. მიუხედავათ ამისა გაზეთი მაინც გამოდიოდა, ეცემოდენ რედაქციას სუსხისაგან ცალკე პიროვნებები, მაგრამ მათ ადგილს სხვები იჭერდენ. 1915 წ. ოქტომბერში მოწვეული კონფერენცია არჩევდა საკითხს, თუ როგორი უნდა იყოს დღეს ინტერნაციონალის მოთხოვნილებანი, ვინაიდან მაშინ ციმერვალდში იკრიბებოდა კონფერენცია და ჩვენც შევუერთდით მ. ს. რევოლუციის დაწყებამდე, 1917 წლის იანვარში კიდევ მოვიწვიეთ კონფერენცია, რომელზედაც ირჩეოდა უმთავრესათ ორგანიზაციული კითხვები: რევოლუციამ ჩვენ საპასუხისმგებლო როლი დაგვაკისრა, ჩვენ უნდა აგვეღო მოძრაობის ხელმძღვანელობა. აქ დაარსდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო და მოქალაქენო! ემზადეთ საქალაქო არჩევნებისათვის

ტატების საბჭოები და ჩვენ მოვახერხეთ მათი შეერთება და ყველგან ჩვენს ლოზუნგებს იღებენ. ჩვენ განვიზრახეთ გამოგვეცა ბეჭდითი ორგანოები ყველა ადგილობრივ ენაზე. დღემდის გაზეთი არ გამოდის მხოლოდ თათრულ ენაზე, მაგრამ მიღებულია ყოველგვარი ზომები, რაც შეიძლება დაჩქარებით გამოიცეს იგი. ვცდილობთ აგრეთვე საგამომცემლო მუშაობის გაფართოებას. უკვე გამოდის წიგნაკები რუსულ და ქართულ ენაზე, მალე გამოიცემა სომხურ და თათრულ ენაზედაც. მივიღეთ აგრეთვე ზომები, რომ ჩამოგვეყვანა აქ საჭირო ძალები, მოვიწვიეთ ემიგრანტები, რომლებსაც ნივთიერი დახმარებაც აღმოუჩინეთ სამგზავროთ, პოლიტიკური გადასახლებულები, სტუდენტები. მაგრამ არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება მაინც შეუძლებელი შეიქნა. საერთოთ ჩვენ ხელს უწყობდით ერთის მხრით პარტიული ორგანიზაციების გაძლიერებას. ჩვენ უნდა შემოვიკრიბოთ ფართო მასსა, შევქმნათ ძალა, რომელიც დასცემს ყველა ჯურის ნაციონალისტებს, რომ გავსწიოთ სოციალიზმის სამეფოსაკენ. დასასრულ, მომხსენებელი იგონებს, თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირებს არ. ჯუღაშვილს, ტოლოს, არჩილ ჯაფარიძეს, სევერ. ჯუღელს, პოლა ლომთათიძეს, საშა წულუკიძეს, გ. ხირხელს, ვადაჭკორიას. დელეგატები ფეხზე ადგომით პატივს სცემენ მათ წმინდა ხსოვნას.

პარტიული გაზეთის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვახო წულაძე.*) მომხსენებელი აღნიშნავს, თუ რა უმწეო მდგომარეობაში იყო ჩვენი გაზეთის გამოცემის საქმე ომის პირველ ხანებში, გაზეთის გავრცელების კერძო პირზე გადაცემამ საქმე რამდენიმეთ გამოაკეთა, მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. თუ წინათ, 1914 წლის მეორე ნახევარში ჩვენი გაზეთი მხოლოდ 3000 ცალი ვრცელდებოდა, დღეს მისი ტირაჟი 15 ათას სჭარბობს. „Борьба" ვრცელდება 5 ათასი ცალი, „ფაიქარი", რომელსაც ჩვენ უწევთ ნივთიერ დახმარებას, ვრცელდება 3500 ცალი.

ამხ. ოგ ჭავჭანიძის წინადადებით სიეზდი ოვაციებს უმართავს საოლქო კომიტეტისა და გაზეთის ხელმძღვანელებს, რომლებმაც მედგარ და თავდადებულ მუშაობით მიიტანეს საერთო საქმე დღევანდლამდე, ნდობას უცხადებს მათ, ამტკიცებს მოხსენებას და გადადის მორიგ კითხვებზე.

(მეორე დღე, 12 ივნისი).

თავმჯდომარეობს ნოე რამიშვილი.

აკაკი ჩხენკელი აკეთებს მოხსენებას ომსა და ზავზე. ჯერ კიდევ ომის დაწყების პირველ ხანებშივე—ამბობს ორატორი—ს. დ. ფრაქციამ გამოიმუშავა თავისი დამოკიდებულება ომთან. ჩვენთვის ომის იმპერიალისტური ხასიათი სადაო არ არის და ამისთვის მე თქვენთან არ შევჩერდები ამ საკითხზე, ვიტყვი მხოლოდ, რომ გაბატონებულ კლასთა მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი წვრილი ერების განთავისუფლებისა იყო მხოლოდ სიცრუე, თვალთმაქცობა და მთელი რიგი ფაქტებისა ამტკიცებს ჩვენი თვალსაზრისის სისწორეს, რომ ისინი ისახავენ იმპერიალისტურ მიზნებს და არა ხალხთა განთავისუფლებას. საკმარისია მოვიგონოთ ბელგიელები, სერბიელები, ჩერნოგორელები, რუმინელები, ბერძნები, პოლონელები, ებრაელები, უკრაინელები, ლატიშები, სომხები, მუსულმანები, ქართველი—მუსულმანები და სხ. რომ ცხადათ წარმოვიდგინოთ, თუ როგორ ანთავისუფლებენ იმპერიალისტები წვრილ ერებს. ჩვენ ძველი რეჟიმის დროსაც კი ვახერხებდით ამ დაჩაგრულ ერთა მდგომარეობის რამდენიმეთ შემსუბუქებას, დღეს მეტს გავაკეთებთ.

აჭარლების საქმე გადასინჯული იქნება და იმედი უნდა ვიქონიოთ მათი საბოლოოთ განთავისუფლებისა, მაშასადამე არა იმპერიალისტები ცდილობდენ დაჩაგრულ ერთა განთავისუფლებას—ისინი მათ ანადგურებდენ—არამედ დემოკრატია, რევოლიუციონურმა რუსეთმა რევოლიუციონური ორგანოების სახით უნდა განათავისუფლოს ისინი. ომის ლიკვიდაციის საკითხი წამოყენებული იყო ჯერ კიდევ რ. ს.-დ. მ. პ. საორგანიზაციო კომიტეტის დეკლარაციაში, რომლის შედგენაში ს.-დ. ფრაქცია თამაშობდა მთავარ როლს. ჩვენ მაშინ ვამბობდით, რომ ომის დაბოლოვება შესაძლებელია მხოლოდ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის ჩარევით. 1915 წ. იანვარში ჩვენ განვაცხადეთ ზავის შესახებ ის, რაც შემდეგ ითქვა 14 მარტის ცნობილ მიმართვაში. ჩვენ ვამბობდით, შეუძლებელია თავდაცვაზე ლაპარაკი, სანამ არსებობს ძველი რეჟიმი და ვისაც უნდა იხსნას რუსეთი განსაცდელისაგან, მან ხელი უნდა შეუწყოს ძველის დამხობასო. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ 14 მარტის მანიფესტში, რომელშიაც გატარებულია ჩვენ მიერ რევოლიუციამდე წამოყენებული დებულებები, კონკრეტიული ხასიათი მისცა ჩვენს განცხადებას, როცა რუსეთის რევოლიუციამ დააყენა საკითხი ომზე, მას არ შეეძლო არ წამოეყენებია აგრეთვე საკითხი მის ლიკვიდაციის შესახებ, მაგრამ რა გზით? პეტრ. მ. და ჯ. დეპუტატების საბჭო ამბობს, რომ ომის ლიკვიდაცია მოხდება მხოლოდ სრულიად ევროპის მასშტაბით და არა სეპარატიული ზავით, ვინაიდან მარტო რუსეთს არ დაუწყია ომიო. შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით არჩევს 14 მარტის მიმართვას და ამბობს, რომ ბურჟუაზია ამტკიცებდა, რომ ჩვენი სამეგობროთ გაწვდილი ხელი ჰაერში დაკიდებული დარჩებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ჩვენ არ გვქონდა საშუალება მიგვეღო მოწინააღმდეგე სახელმწიფოებიდან გაზეთები და ჩვენი გამოცემებიც ვერ აღწევდენ იქამდე. დღეს ასეთი მდგომარეობა არ არსებობს, ვინაიდან პეტრ. მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოსთან შეადგინეს საერთაშორისო დამოკიდებულების განყოფილება. ზავის სასარგებლოთ მოძრაობა თანდათან ძლიერდება არა მარტო გერმანიაში, ავსტრო-უნგრეთშიაც. ძლიერია მოძრაობა ინგლისშიაც, სადაც მოითხოვენ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს შექმნას. საფრანგეთშიაც სოციალისტური „უმრავლესობა" უერთდება „უმცირესობას". პეტრ. მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს განზრახვამ, მოიწვიოს ინტერნაციონალური კონგრესი, დიდი თანაგრძნობა გამოიწვია, ყოველ მხრიდან გზავნიან დელეგატებს. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა სიეზდიც შეეხება ამ საკითხებს, მან დაადასტურა ის შეხედულება, რომ ომის ლიკვიდაცია შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის ჩარევით. ინტერნაციონალურ კონგრესზე უნდა გამომუშავდეს მოქმედების ერთი გეგმა ყველა ხალხისათვის, უნდა მოითხოვონ საპატიო ზავი. კოალიციონურ სამინისტრომ უნდა გააბათილოს ძველი ხელშეკრულებანი და აიძულოს მოკავშირე მთავრობები დადგენ ჩვენს თვალსაზრისზე. უკვე გაგზავნილია ნოტა, რომელზედაც პასუხი მიღებულია ჯერ მხოლოდ ინგლის საფრანგეთისაგან. მალე შესდგება აგრეთვე მოკავშირეთა კონფერენცია, რომელზედაც, იმედი უნდა ვიქონიოთ, მიიღებენ ომსა და ზავზე რუსეთის შეხედულებას. როგორ უნდა მოვიქცეთ ზავის ჩამოგდებამდე? ჩვენ ვამბობთ, სანამ არ არის შესაფერი პირობები, რუსეთი მაგრათ დგას ფრონტზე და იცავს თავისუფლებას. ჩვენი მოთხოვნილებათა ძლიერება დამოკიდებულია ჩვენი ფრონტის სიძლიერეზე. ფრონტზე დაძმობილებას ჩვენ ვერ დაუჭერთ მხარს, ვინაიდან იგი მიმართულია სეპარატიული ზავის ჩამოგდებისაკენ, რაც სრულებით ვერ სჭრის ომისა და ზავის კითხვას. ჩვენ ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავით და ვართ საიდუმლო დიპლომატიისა, მაგრამ რუსეთი მოკავშირეებთან შეუთანხმებლათ ვერ გამოაქვეყნებს ხელშეკრულებებს. ეს გამოიწვევს უთანხმოებას, რაშიაც ჩვენ სრულებით არ ვართ დაინტერესებული. ჩვენ უნდა უცადოთ მოკავშირეთა კონფერენციას და თუ არ შემოგვიერთდენ ომის და ზავის საკითხში მოკავშირეები, აუცილებლათ დაიწყება რევოლიუცია, დაიმხობა ყველა ტახტები, დღიურ წესრიგში დაისმება სოციალური და სხ. კითხვები. ჩვენ ვიცავთ რევოლიუციას, უნდა ვეცადოთ მოეწყოს პროლეტარიატის რევოლიუციონური გამოსვლები ყველა ქვეყნებში, ჩამოვაგდოთ საპატიო ზავი და რუსეთში წამოყენებული კითხვები, წამოვაყენოთ სრულიად ევროპის მასშტაბით.

სომხურ ს. დ. პარტიის „ჰნჩაკის" სახელით სიეზდს მიესალმა ამხ. აბრამიანი. მან აღნიშნა, რომ პროგრამასა და ლოზუნგებში არ არის განსხვავება ჩვენსა და რ. ს.-დ. მ. პარტიის შორის, მხოლოდ ოსმალეთის საკითხს ვაქცევთ ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას, თორემ აქ, კავკასიაში თქვენთან ერთად ვმუშაობთ. „ჰნჩაკს" არასოდეს ეჭვი არ ეპარებოდა თქვენს გამარჯვებაში. ჩვენ დავამხეთ თვითმპყრობელობა, ახლა წინ გვიდგას აქ პლუტოკრატიისა და ბურჟუაზიის დამარცხება მუნიციპალურ საკითხში. მე ვიმედოვნებ, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ, თვითმართველობის დემოკრატიზაციისათვის საჭიროა ჩვენი შეერთება, ხელი ხელ გამოსვლა.

ამხ. ნოე რამიშვილი უპასუხებს ამხ. აბრამიანს და ამბობს, რომ მეტათ სასიამოვნოა სალამი იმ პარტიისა, რომელიც 10 წლით ჩვენზე ადრე გამოვიდა სამოქმედოთ. მისი ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ ის თავიდანვე შედგა სოციალისტურ გზაზე, მაგრამ თუ მიუხედავათ ამისა მან ვერ შეძლო ჩვენი ადგილის დაჭერა, ეს იმიტომ, რომ ის მოქმედებდა მხოლოდ ვიწრო ნაციონალისტურ ფარგლებში. მე ღრმათ მწამს, რომ დღეს, არსებულ პირობების გამო ისინი სავსებით შემოგვიერთდებიან. იმედია მათი კონფერენცია, რომელიც უნდა შესდგეს ახლო მომავალში, გადადგამს ნაბიჯს ამ მიმართულებით.

ამის შემდეგ მომხსენებელ აკ. ჩხენკელს სანამ კამათი დაიწყებოდა, დელეგატებმა მისცეს რამდენიმე შეკითხვა, რომლებზედაც ასე უპასუხა მომხსენებელმა: ჩვენი ერთად ერთი მიზანია თავდაცვა, მაგრამ სტრატეგია ამბობს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში თავდაცვისათვის საჭიროა შეტევა (наступленіе). მე არ თანაუგრძნობ ბურჟუაზიის მოთხოვნას ყოველ პირობათა გარეშე აწარმოონ შეტევა. რაც შეეხება იმ მოვლენას, რომ ჯარისკაცები ხანდისხან გამორბიან ფრონტიდან, ეს რამდენიმეთ იმით არის გამოწვეული, რომ ომი მეტათ საშინელი და ხანგრძლივი გამოდგა, მაგრამ უნდა ვეცადოთ ჯარისკაცებს მივაწოდოთ ყველაფერი, უზრუნველვყოთ ისინი და ამით გავამაგროთ ფრონტზე. ისტორიაში ყოველთვის რევოლიუცია აძლიერებდა ხალხის ძალას. უბედურება იქნება თუ რევოლიუციონური რუსეთი არ აღმოჩნდა ძველ რუსეთზე უფრო ძლიერი. ანექსიის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პირობებში ჩამოვარდება ზავი. თუ იგი შეკრა რევოლიუციონურმა დემოკრატიამ, მაშინ ეს საკითხიც რადიკალურათ გადაიჭრება. და თუ ზავი ჩამოაგდო რევოლიუციონურ რუსეთმა და არა რევოლიუციონურ ევროპამ, მაშინ ანექსიის საკითხი მხოლოდ მეომარ ხალხებს შეეხება. თუ მომავალ მოკავშირეთ კონფერენციაზე არ დაგვეთანხმენ მოკავშირე მთავრობები, ჩვენ ისევ უნდა გავაძლიეროთ მუშაობა სრულიად ევროპის მასშტაბით და მოვაწყოთ გამოსვლა მოკავშირეთა დემოკრატიასთან ერთად, რომელსაც ჩვენ შეუთანხმდებით მომავალ ინტერნაციონალურ კონგრესზე.

ამხ. ბ. თევზაია თავის ვრცელ სიტყვაში ამბობს, რომ ჩვენ მუდამ წინააღმდეგი ვიყავით მპრინციპიალურათ ომისა და თუ ერთი მხარე დაეცემოდა მეორეს, უნდა შევებრძოლებოდით მას, თავდაცვის პრინციპზე ააგო ჟ. ჟორესმა საფრანგეთის ჯარის რეფორმა. სამბა თავის შესანიშნავ შრომაში ანვითარებს ამ დებულებას და დასძენს, კარგია თუ გერმანიის პროლეტარიატმა იგრძნო, რომ მისი მთავრობა თავს ესხმის, თუ ეს არ მოხერხდა, საშინელი ტრაგედიის მოწამენი შევიქნებით ჩვენ. ომი, რომ იმპერიალისტურია, ეს დღეს ჩვენთვის უკვე გამოირკვა. ამის შემდეგ შესდგა პირველი სოციალისტური კონფერენცია ციმერვალდში, რომლის მოწვევაში დიდი ღვაწლი მიუძღვის შვეიცარიის ს.-დემოკრატიას, კერძოთ დეპ. რ. გრიმს, ბევრს მაშინ სიცილად არ ეყო ეს ამბავი, გ. პლეხანოვმა სექტანტები უწოდა ციმერვალდელებს. ციმერვალდი არ წარმოადგენდა ერთ მთელს, სხვადასხვა კითხვებზე მის მონაწილეებს სხვადასხვა შეხედულება ჰქონდათ, მხოლოდ ომის საკითხი აერთიანებდა ყველას, ყველა წინააღმდეგი იყო ომის. უმცირესობა (ლენინის მეთაურობით) მოითხოვდა მთავრობებისათვის სამოქალაქო ომის გამოცხადებას, მაგრამ მას არ აღმოაჩნდა მომხრეები გარდა შვეიცარიის ახალ გაზრდებისა. ცენტრში შედიოდენ მენშევიკების წარმომადგენლები (მარტოვი, მარტინოვი) გერმანიისა და საფრანგეთის ოპოზიცია და იტალიის სოციალისტები. მან წამოაყენა ლოზუნგი უანექსიო და უკონტრიბუციო ზავისა, რომელსაც ლენინმა სამღვდელოების ლოზუნგი უწოდა, მესამე ნაწილს შეადგენდა მარჯვენა ფრთა, რომელიც მოითხოვდა ყველა ქვეყნების სოციალისტების მოწვევის საკითხის გადასაჭრელათ, რადგანაც ეშინოდათ ციმერვალდში თავის შეყრით არ მომხდარიყო ინტერნაციონალის რასკოლი.

კონფერენციაზე გაიმარჯვა ცენტრმა, რომელიც წინააღმდეგი იყო სამინისტროში შესვლის, კლასთა თანამშრომლობის, მოითხოვდა ცენზურის გაუქმებას და ინტერნაციონალის შეკრებას. საფრანგეთის „უმრავლესობა" შედიოდა სამინისტროში, „უმცირესობა" ციმერვალდის ცენტრში შედიოდა, მაგრამ პარტიის რასკოლი ჯერაც არ მომხდარა.

ამ დროს მოხდა რუსეთის რევოლიუცია, რომელმაც მიიღო ციმერვალდის ლოზუნგები. ჩვენ გვაინტერესებს, თუ რა გავლენა მოახდინა ევროპაში 14 მარტის ყველა ქვეყნის ხალხისადმი მიმართვამ. საფრანგეთში ეს მიმართვა არ დაბეჭდილა არც ერთ ლეგალურ ორგანოში, იგი გავრცელდა ათასობით არა ლეგალურათ. გერმანიაში დიდი შემოკლებით დაიბეჭდა, მაგრამ იქაც გავრცელდა არა ლეგალურათ. დღეს მუშების გარეშეც არის მოძრაობა ზავის სასარგებლოთ. რადიკალური ელემენტები ალაპარაკდენ ზოგიერთ ქვეყნებში ზავზე. მათი ლოზუნგია: ომი გაგრძელდეს მხოლოდ ზავზე მოლაპარაკებაც იყოს. მათ შეუერთდა პატარა ნეიტრალური სახელმწიფოებიც, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ ომს ვერაფერს გამორჩებიან.

შემდეგ ორატორი ეხება პეტრ. მ. და ჯარ. დეპუტატების საბჭოს 14 მარტის მანიფესტს და ამბობს, რომ მოწოდება მშვენიერია, მაგრამ როგორც პირველი, ისე მეორე დრ. მთავრობა დგამს ისეთ ნაბიჯებს, რომლებსაც დეზორგანიზაცია შეაქვთ საერთო გამოსვლებში. ორატორი აღნიშნავს თუ რა უარყოფითი გავლენა მოახდინა 18 აპრილის ცნობილმა ნოტამ, რომელზედაც ხელი იწერა სოციალისტ კერენსკისაც. მეორე მაგალითად ორატორს მოყავს დეპ. რ. გრიმის საქმე და ამბობს, რომ გრიმისათვის ჩირქის მოცხება ასუსტებს მუშათა მოძრაობას. თუ ის დამნაშავეა გამოქვეყნდეს უნდა ყველა მის შესახებ დოკუმენტები, თორემ ასე დატოვება საქმის არ შეიძლება. თუ უსაბუთო გამოდგა ბრალდება, მაშინ, მაშასადამე, ამხანაგებმა ვერ დაიფარეს გრიმი და ეს ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს. მეტად დიდი სიფრთხილეა საჭირო, ევროპა გაფაციცებით ადევნებს თვალყურს რუსეთის მოძრაობას. ყველა ჩვენს კარგ ნაბიჯებს იყენებს მუშები, ცუდს კი მტრები.

გადაწყდა კამათის შეწყვეტა, ვინაიდან მოხსენების ძირითად დებულებების წინააღმდეგ არავინ გამოდიოდა. რეზოლიუციის პროექტის გამომუშავება მიენდო მომხსენებელსა და პრეზიდიუმს.

ვენო ალათიშვილი.

(შემდეგი იქნება).

---

*) დაწვრილებითი ანგარიში ცალკე დაიბეჭდება.

ამხანაგებო და მოქალაქენო!

არა უგვიანეს 15 ივნისისა მოხდება ქალაქის თვითმართველობის ხმოსნების არჩევნები. ყოველი მოქალაქის მოვალეობაა არ დაჰკარგოს საარჩევნო ხმა და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქალაქის არჩევნებში. ძველი რეჟიმის დროს არსებული ცენზიანი საარჩევნო უფლებით სარგებლობდნენ მხოლოდ მდიდრები, ღარიბნი კი განზე იყვნენ მოკლებულნი ამ უფლებას. ბურჟუაზიული საბჭო ზრუნავდა მხოლოდ პლუტოკრატიის ინტერესებზე, დიდათ ცდილობდა ქალაქის შუაგულის საუკეთესო მოწყობაზე და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ქალაქის განაპირა უბნებს, სადაც თავი მოუყრია ხელმოკლე და ღატაკ მცხოვრებლებს. ქალაქის განაპირა უბნებში აქამდის არ არის წყალსადენი, კანალიზაცია და ცხოვრობენ საძაგელ სანიტარულ პირობებში.

საბედნიეროთ დღეს დადგა ისეთი დრო, როცა დემოკრატიას თუ მოინდომებს, საშუალება ეძლევა ქალაქის თვითმართველობა ხელში ჩაიგდოს.

თუ გვინდა უფასო საყოველთაო და სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლა-განათლება, თუ გვინდა ჩვენ შვილებს უფასოდ ეძლეოდეს სასწავლო ნივთები, საუზმე, უფასოდ ეძლეოდეს სამკურნალო დახმარება, თუ გვინდა სასურსათო საქმის მოწესრიგება და სხვა, ყველა იმისი განხორციელება, რაც მიღებულია რუს. სოც. დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერ კავკასიის საოლქო და თფილისის კომიტეტის მიერ მუნიციპალურ პლატფორმაში, ნუ დაჰკარგავთ საარჩევნო ხმას, დავირაზმოთ საარჩევნო კამპანიაში დემოკრატიის გასამარჯვებლათ და ავირჩიოთ ხმოსნებათ ჭეშმარიტი დამცველნი დემოკრატიის ინტერესებისა, ამიტომ ქალაქის საარჩევნო კომისია მეათე სამილიციო უბნისა და რ. ს. დ. მუშათა პარტიის მენშევიკებისა სთხოვს ყველა ამხანაგებს და მოქალაქეებს, ვინც გამოტოვებულია, არ არიან ქალაქის საარჩევნო სიებში შეტანილი, მობრძანდნენ მიხეილის ქუჩაზე, სახლი № 102, ეზოში. ქართული წრის ბინაზე ან ავჭალის აუდიტორიაში, სადაც დანიშნულია მორიგეობა ყოველდღით 10—12 და საღამოს 6—8 ს. და გვაცნობონ თავიანთი გვარი და სახელი, მამის სახელი, ქუჩა და სახლის ნომერი, სახლის პატრონის გვარი, რომ შეტანილ იქნენ ქალაქის საარჩევნო სიაში.

ბიურო ქალაქის საარჩევნო კომისიის მეათე უბნის რ. ს. დ. მ. პ. მენშევიკებისა.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 11—12 ივნისი).

ჰოლანდია-სკანდინავიის კომიტეტის განცხადება.

სტოკჰოლმი. ჰოლანდია სკანდინავიის კომიტეტმა ამერიკელ სოციალისტებთან თათბირის შემდეგ გამოაქვეყნა ამ დელეგატთა განცხადება, რომელშიაც აღნიშნულია ზავის პირობები: კონტრიბუციისა და ანექსიის უარყოფა. ახალშენები და სხვა ადგილები, გარდა პოლონეთისა, იმ სახელმწიფოებს უნდა დაუბრუნდეს, რომლებსაც ომის დაწყებამდე ქონდა. ასეთი პრინციპით უნდა იხელმძღვანელონ ყველა სადაო ადგილების საკითხის გადაჭრის დროს მაგ. ელზას ლოტარინგიის; ყველა ხალხს მიენიჭოს თვითგამორკვევის უფლება. სერბიის, გალიციის და სხვა განადგურებულ ქვეყნების აღდგენა; შეთანხმება ყველა სახელმწიფოების იარაღის აყრის საკითხში; თავისუფალი ზღვები; საიდუმლო დიპლომატიის გაუქმება; სამშვიდობო კონგრესი უნდა შესდგეს მეომარ და სხვა ნეიტრალურ სახელმწიფოების საგანგებო წარმომადგენლებისაგან; ცალკე ერთა შორის შეთანხმების უზრუნველ საყოფათ უნდა დაარსდეს საერთაშორისო ორგანო.

გამოჩენილ ამერიკელთა მოწოდება რუსეთისადმი.

ნიუ-იორკი. ამერიკის გამოჩენილ მოღვაწეთა ერთმა ჯგუფმა, რომელშიაც შედიან ჯერომენი, ტომას ედისონი, ფრანკლინი, გიდდინგსი, ჩარლზ იუზი, ჯორჯ კენანი, ლუი მარშალი, თეოდორ რუზველტი, უილიამ უსლინგი და ჯორჯ უელრისხმი, რუსეთის ხალხისადმი გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავენ რა რომ ამერიკის დემოკრატია მტაცებლობისა და დაპყრობის მიზანით არ ერევა ამ ომში, უკონტრიბუციო და უანექსიო ზავზე ორჭოფულ შეხედულობის შესახებ თავიანთ აზრს გამოსთქვამენ. ზავის შესახებ ფორმულას გერმანია იყენებს თავის ბოროტ განზრახვის სისრულეში მოსაყვანათ, მას უნდა ამ ფორმულით ისარგებლოს და ზავის შესახებ თავის სასარგებლო პროპაგანდა გასწიოს. გერმანიის გეგმაა—შეადგინოს ევროპის დიდი ცენტრალური ავტოკრატია, რომელიც მთელ ევროპას შუაზე გაჰყოფს და მოუპობს რუსეთს ზღვებისაკენ ერთათ ერთ გასავალს და ჩაახრჩობს, შემოიერთებს დასავლეთ აზიას, რომელიც ინდოეთში შესასვლელი კარებია და ქვეყანაზე გასაბატონებლათ მოამზადებს ახალ ომს. ამ მიზნით გერმანია ფაქტიურათ ხელმძღვანელობდა ავსტრიას და ბალკანეთს; ბოლგარია და ოსმალეთი თავის ყმად გაიხადა, ბოსნია ჰერცოგოვინის შემოერთებით ავსტრიის დასაცავათ ამხედრდა, საიდუმლოთ ხელს უწყობდა სერბიის დაპყრობას. დღეს ის ხედავს, რომ უკეთუ მოკავშირენი არ მოტყდენ მისი საქმე წასულია და ცდილობს ხრიკებით თავი დააღწიოს ამ გამოუსვლელ მდგომარეობას. მას იმედი აქვს, რომ უკონტრიბუციო და უანექსიო ზავის დაპირებით ის ჩამოაშორებს რუსეთს მოკავშირეებს. თუ ეს იმედი არ გაუმართლდა გერმანიას იმედი აქვს მოკავშირეებს ისეთი პოლიტიკა მოახვიონ თავზე, რომელიც მას ნებას მისცემს დამშვიდებით იბატონოს ბოსნია ჰერცოგოვინსა და სხვა ქვეყნებში, რომლებიც ძალით ჩამოგლიჯა მის მშვიდობიან მეზობლებს. ასეთ მშვიდობიან ტრაქტატის მეოხებით, ავსტრო-უნგრეთზე და ოსმალეთზე გაბატონებული გერმანია ომის შემდეგ, რომელიც მან განზრახ გამოიწვია, უფრო ძლიერი გამოვიდოდა. ამ რიგათ გერმანია მთელი მსოფლიოს თვალში ძლიერების სახელს მოიხვეჭდა.

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს რეზოლიუცია.

მოსკოვი. პეტროგრადის ამბების გამო მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც მიმართავენ მუშებს და ჯარის კაცებს სეპარატიულად ნუ გამოვიდენ, რადგან ეს რევოლიუციას ძირს გამოუთხრის. ხოლო როცა მართლა კონტრ რევოლიუციონურ მოქმედების წინააღმდეგ გამოსვლა საჭირო იქნება, მოსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო და რევოლიუციონური არმია მედგრათ გამოვლენ რევოლიუციის დასაცავათ.

ფინლიანდიაში მომხდარ ამბის გამოძიება.

ჰელსინგფორსი. ფინლიანდიის მთავრობამ დაასრულა გამოძიება იმ ამბის შესახებ, რომელიც მოხდა ჰელსინგფორსში ლიუტერანების სობოროში. წინა კვირას ანარქისტმა მან-ბოლტმა თავის თანამოაზრეებთან ერთათ დიდი მიტინგი გამართა სობოროს წინ. წირვის გათავებისას ბრბო შეიჭრა ეკლესიაში, მან ბოლტი ამბიონზე ავიდა და ამაღლევებელი სიტყვებით მიმართა ბრბოს რუსულათ, ფინურ და შვედურ ენებზე. ბრბო ტაშს უკრავდა და მარსელიოზას და ანარქისტულ სიმღერებს მღეროდა. მიტინგი მთელი დღე გაგრძელდა. საღამოზე კანდელები აანთეს. ეკლესიის კრებულმა საზოგადო დაცვის კომიტეტს მიმართა. პოლიცმეისტერმა რაკი დაინახა, რომ მეზღვაურნიც იღებდენ მონაწილეობას შეეშინდა სისხლის ღვრა არ მოხდესო და ლოდინი დაიწყო. ღამის თორმეტ ნახევარ საათზე პირველად სცადეს დაეცალიერებინათ ეკლესია. ამბიონზე ბოლტთან მდგომმა მეზღვაურმა განაცხადა, რომ უკეთუ ეკლესიის დაცლაზე ძალას დაგვატანენ შეკრებულთა საშველათ 5000 ჯარისკაცი მივაო. დილის ექვსის ნახევარზე, როცა ეკლესიაში მხოლოდ 200 კაცი და დარჩა პოლიცმეისტერმა მოსთხოვა ეკლესიის დაცლა. არავინ არ ისურვა გასვლა. მილიციონერები ძალათ მოათრევდენ. იარაღი არ უხმარიათ. ბოლტი და ზოგიერთი მონაწილენი დაიჭირეს. როცა ბრბომ გაიგო ბოლტის დაჭერა ნავთსადგურისკენ გაიქცენ ჯარის დასაძახებლათ. დარჩენილები თავს დაესხნენ მილიციონერებს, ქვები და ჯოხები დაუშინეს. დაჭრა სამი მილიციონერი. დაჭრილები მაინც ვერ გაანთავისუფლეს. ზოგიერთი დაჭრილები პასუხისგებაში მისცეს. ბოლტი სულიერ ავათმყოფათ იცნეს და საგიჟეთში დაამწყვდიეს.

საზარელი თვითგასამართლება.

ნიკოლაევსკი. დაბა ნოვაია ოდესაში გლეხებმა საზარელი თვითგასამართლება მოახდინეს მძარცველთა ბრბოზე. მილიციამ ბრბოსთან ვერაფერი გააწყო. ნიკოლაევიდან გამოიწვიეს კომისარი, მაგრამ მას ბრბომ განუცხადა: „ეხლა თავისუფლებაა, კანონი არ არის და ხალხს რაც უნდა იმას იზამსო". აქაიქ გაისმა ხმა: „დასცხეთ ქურდების დამცველებსო". კომისარი იძულებული შეიქნა უკან გამობრუნებულიყო. ბრბო მიეხვია მძარცველებს, გამოკუჭეს თვალები, მიაჭრეს ყურები და თავი ურთოთი დაუჩეჩქვეს. შიშით სიგიჟემდე მისული ქურდები თავგანწირვით გარბოდენ სოფელში. მათ ესროდენ. საღამოზე ერთ ადგილზე მოაგროვეს თორმეტი დახრუკული და დასახიჩრებული გვამი.

ცარიცინის ამბები.

ცარიცინი. მოვიდნენ ყაზანის სამხედრო ოლქის და სარატოვის მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენელნი ქალაქის მდგომარეობის გამოსარკვევათ. გამოირკვა, რომ აღმასრულებელ კომიტეტს ყოველივე გავლენა დაუკარგავს და ძალა უფლება ჯარის კაცების ხელში გადასულა. არსად მეცადინეობა არ არის. ჯარისკაცები მიტინგებზე დადიან. ერთ მიტინგზე გადაუწყვეტიათ კერძო საკუთრების გაყოფა. ყაზანის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი შეჰპირდა ქალაქის თავს, რომ ყოველივე შეკრებილ მასალას დროებით მთავრობას გადასცემს და ენერგიულ ზომებს იხმარს წესიერების აღსადგენათ.

გრიმის საქმის გამოძიება.

სტოკჰოლმი. ინტერნაციონალისტთა შვედურმა ბიურომ გადასწყვიტა გამოიკვლიოს რობერტ გრიმის რუსეთიდან გაძევების მიზეზები.

ამხანაგებო მუშებო და ჯარის კაცებო! არ დაჰკარგოთ საარჩევნო უფლება.

ცენტრალურ სახელმწიფოების განცხადების რეზიუმე.

სტოკჰოლმი. ვენიდან მოსულ ცნობით იქ დაგზავნეს ცენტრალურ სახელმწიფოს და რუსეთის განცხადების რეზიუმე ზავის საკითხის შესახებ. ეს რეზიუმე ასე თავდება: „ამგვარათ რუსეთის და ცენტრალურ სახელმწიფოთა ომის მიზანი ერთი და იგივეა. თუ ცენტრალურ სახელმწიფოთა განცხადება დღემდე რუსეთისადმი იყო მიმართული ეს იმიტომ, რომ ჯერ ჯერობით მხოლოდ რუსეთმა განაცხადა საპატიო ზავის ჩამოგდების სურვილი. აქედან იმ დასკვნის გამოყვანა თითქო ცენტრალურ სახელმწიფოებს უნდოდეთ რუსეთთან სეპარატიულ ზავის ჩამოგდება, სიმართლეს მოკლებულია. წინაამდეგ ცენტრალური სახელმწიფოები როგორც წინათვე ეხლა მოწადინებულია საპატიო ზავი შეჰკრას ყველა მტრებთან.

ავსტრიის კაბინეთი და ს.-დემოკრატები.

სტოკჰოლმი. ვენიდან იტყობინებიან: კლამ-მარტინიცმა ს.-დემოკრატებს კაბინეთში შესვლის წინადადება მისცა. მათ უარი სთქვეს და განაცხადეს, რომ მზათ არიან მონაწილეობა მიიღონ ისეთ სახელმწიფოებრივ წესების შექმნაში, რომელიც მისცემდა მას მტკიცე მშვიდობიანობის გარანტიას. კლამ-მარტინიცმა მწუხარებით უპასუხა, რომ სახეში მიიღებს მათ პასუხს.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა სრულიად რუსეთის ყრილობა.

(პ. დ. ს.)

8 ივნისის კრებაზე მუშათა და ჯარასკაცთა დეპუტატების საბჭოთა სრულიად რუსეთის ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია მთავრობასთან დამოკიდებულების შესახებ. რეზოლიუციის მიღებამდე სიტყვები წარმოსთქვეს წერეთელმა და მოხსენებელმა ლიბერმა.

წერეთელმა სთქვა, რომ კოალიციური სამინისტრო—ეს რევოლიუციონურ დემოკრატიის და ბურჟუაზიის შეთანხმებაა, შეეცადონ საერთო ძალით გადალახონ ის დაბრკოლებანი, რომელნიც რევოლიუციას წინ ეღობებიან ამ შეთანხმებას წერეთელი ასე ახასიათებს: „ასეთ კრიტიკულ დროს, როცა საჭიროა მთელი ძალ ღონის ამოძრავება შინაურ და გარეულ კრიზისის გასატეხათ, მხოლოდ მხოლოდ ისეთ მთავრობას შეუძლია ამ მიზანს მიაღწიოს, რომელიც მცხოვრებთა უმრავლესობის ნდობით არის აღჭურვილი. თუმცა რევოლიუციონურ დემოკრატიას დიდი გავლენა აქვს, მაგრამ წერეთელის აზრით მისი ორგანოები მთავრობათ ვერ გამოდგება, რომ რევოლიუციამ მიაღწიოს იმას, რისკენაც მიისწრაფის მთელი ხალხი, მან ძირიდან უნდა დაიწყოს განვითარების პროცესი. რევოლიუცია ხალხს შეგნებას უვითარებს. დღევანდელი დღის პლათფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა. ამ პლატფორმას ენერგიულათ მხარს უჭერს მუშათა კლასი, გლეხობა და რევოლიუციონური ჯარი და მთელი ბურჟუაზია. უნდა წინ წავიდეთ და დაბრკოლებები გადავლახოთ, ვინც ხელს შეგვიშლის გავაძეოთ. მაგრამ ამ გზით ყველა რომ გავაგდოთ და მარტო დავრჩეთ, როცა ვიცით, რომ ვინც ჩვენ გავაგდეთ ხალხის ნდობით არიან აღჭურვილები ჩვენს მიზანს ვაღწევთ. ყრილობაზე როგორც მინისტრები ისე სხვები ამბობდენ, რომ იგინი პასუხის მგებელნი არიან. მართლაც ჩვენ ყველანი ერთნაირათ ვაგებთ პასუხს. მაგრამ პოლიტიკური პასუხის მგებლობა არა მარტო თვის მოქმედების შესახებ, არამედ პასუხის გება მთელ რევოლიუციონურ დემოკრატიის წინაშე, პასუხის გება ჩვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯების შედეგების შესახებ. აი ამ დარბაზში დიდი უმრავლესობა პასუხის მგებელია, ხოლო უმცირესობა კი არა (ხანგრძლივი ტაში), რის წინადადებასაც გვაძლევდენ მხოლოდ წრფელი და კარგი მოსაზრებებით. წინადადებას გვაძლევდენ ულტიმატუმი წაგვეყენებია მოკავშირეთათვის. ეს განზრახვა მშვენიერია საყოველთაო მშვიდობიანობის დასამყარებლათ, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ ეს ულტიმატუმი გამოიწვევს მოკავშირეებთან დიპლომატიურ დამოკიდებულების გაწყვეტას, სეპარატიულ ზავს და ამით რევოლიუციას სამარეს გავუთხრით. ამაში პასუხი უნდა აგოს რევოლიუციონურმა დემოკრატიამ. რომ გავითვალისწინოთ ამ ორივე ნაბიჯის შედეგი, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ პასუხს აგებენ იგინი, ვინც ასეთ ავანტიურისტულ ნაბიჯების გადადგმის წინადადებას გვაძლევს (ტაში). ასეა საშინაო პოლიტიკის სფეროშიაც. წინადადებას გვაძლევენ დავიჭიროთ რამდენიმე ათეული კაპიტალისტი და კრების მემარცხენე ნაწილის წარმომადგენელთაგან შევადგინოთ რევოლიუციონური მთავრობა, გვაძლევთ გარანტიას თქვენ, რომლებსაც გინდათ საბჭოებმა იკისრონ მთავრობა, გვაძლევთ გარანტიას თუ გინდ თქვენ, ლენინო, რომ ბოლშევიკების მთავრობას დღესვე მიიღებს მთელი რუსეთი. (ტაში). ორგანიზაციულათ მოწყობილმა მუშებმა, გლეხებმა და ჯარმა გადაჭრით სთქვა: ჩვენ ვიცით, რომ ეხლა მთელი ცოცხალი ძალის შეერთება და მისი წინ წაყვანა შეუძლია მხოლოდ კოალიციონურ მთავრობას (ტაში). როგორ არ უნდა ვუწოდოთ უპასუხისმგებლო იმ პირთ, რომელთაც უნდათ მაინც სცადონ. მათ კარგათ იციან, რომ ეს გამოიწვევს მცხოვრებთა ფართე ნაწილის ენერგიულ წინააღმდეგობას. ეხლა ყველა დემოკრატ მოქალაქის ვალია გაუფრთხილდეს რევოლიუციას. რევოლიუცია ალყა შემორტყმული ციხე სიმაგრეა. მაზე იერიში მიაქვს ომს, მას წინ დგას ფინანსიური კრიზისის და შიმშილის შიში, მაგრამ ის მაგარია თვის ერთობით და ჩვენ გვწამს, რომ მოვიგერიებთ ამ იერიშს. ხოლო თუ შიგნით დაუწყეს კედელს ნგრევა, მაშინ დაიწყება მოქალაქობრივი ომი. აქ ბევრს ლაპარაკობენ კონტრ-რევოლიუციაზე. ერთადერთი გზა, რომლითაც შეუძლია ჩვენთან კონტრ-რევოლიუცია მოვიდეს ეს მოქალაქობრივი ომია. როცა ჩვენ ვამბობთ შევადგინეთ დროებითი მთავრობა, რომელსაც შეეძლოს ყველა ცოცხალ ძალთა გაერთიანება, ჩვენ პასუხს ვაგებთ არა მარტო ჩვენ კეთილ განზრახვისთვის, არამედ შედეგებისთვის, იმისთვის, რომ ეს ერთადერთი გზაა სისხლის დაუღვრელათ ქვეყნის დახსნის. მე არ ვიცი გადავლახავთ თუ არა ჩვენ ყველა დაბრკოლებებს (ხმები: ჩვენ მხარს დაგიჭერთ) ვიცი ამხანაგებო, რომ მხარს დაგვიჭერთ. ერთათ ან სიკვდილი ან გამარჯვება. (ხანგრძლივი ტაში).

შემდეგ კრების თავმჯდომარე ჩხეიძემ განაცხადა, რომ მოასვენეს მეორე დუმის ს.-დემოკრატიულ ფრაქციის წევრის ზელოუსოვის ცხედარი, რომელიც კატორღაში ყოფნის შემდეგ ამერიკაში გაიქცა და იქ გარდაიცვალა. ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა და დაადგინა დელეგატები გაგზავნოს დასაფლავებაზე დასასწრებლათ.

9 ივნისის კრებაზე კერენსკიმ განაგრძო თავის სიტყვა: „ჩემი განკარგულებები დემოკრატიის უმრავლესობის ნების გამომხატველია. სანამ მე ძალა-უფლება ხელში მაქვს, მე ნებას არ მივცემ გაიხრწნას ჯარი. ამ გზაზე დემოკრატია ჩემთან ერთად მიდის და მე მასთან (მქუხარე ტაში). არმია ძლიერი უნდა იყოს. არმიამ ნება არ უნდა მისცეს ახლად გამომცხვარ სოციალისტს ბავარიის პრინცს მძიმე ზარბაზნებით იმუქრებოდეს. („არა, არა“). ლენინს აქ ისეთი აზრები მოჰყავს, რომლებიც სრულიად ეთანხმებიან გერმანელებისას. მე მას ვეკითხები, რატომ მან ამ თემაზე გერმანიაში არ წაიკითხა ერთი ლექცია. მისაყვედურებენ, თითქოს მე ბურჟუაზიული გაზეთები მაქებდენ, მაგრამ მე რომ აქ მომეტანა გერმანული გაზეთებიდან ამოღებული წერილები, რომლებიც ქებითა და დიდებით იხსენიებენ რუსეთში მომქმედ ერთ პარტიას, მაშინ თქვენ უფლება გექნებოდათ ჩემთვის არამზადა გეწოდებიათ (მქუხარე ტაში). უკრაინელთა ყრილობის აკრძალვასაც მისაყვედურებენ. ეს მართალი არ არის. მე ნება არ დავრთე ყრილობის მონაწილეთ, რომ ისინი ჯარიდან ისე გაეგზავნათ, თითქოს სამსახურის საქმეების გამო იყვნენ გაგზავნილი. სამაგიეროთ, მე ჯარის კომიტეტებს უფლება მივეცი წარმომადგენლებისთვის განსაზღვრული ვადით თავისუფლება მიეცათ. უკრაინისა და ფინლიანდიის საკითხის შესახებ ამავე ქვეყნების დემოკრატიას მივმართავ და ვეტყვი: საერთო ბედნიერებისა, თავისუფლებისა და მშვიდობიანობისათვის ნუ დაარღვევთ ბრძოლის ერთიანობას, რუსეთთან კავშირის გაწყვეტა თქვენთვის დაღუპვა იქნებოდა. სომხეთიდან ჯარს ვერ გამოვიყვანთ, ვინაიდან ამას მოჰყვებოდა სომხების დარბევა-ამოჟლეტა ქურთებისა და ოსმალებისაგან. (მქუხარე ტაში). ჯარში ანარქიამ და საჯარო გასამართლებამ მოიკიდა ფეხი. მე მოვუწოდებ რუსეთის დემოკრატიას მხარი დაუჭიროს სამხედრო მინისტრს, გაამაგროს და სიმშვიდე და წესიერება დაამყაროს ხალხში. ხალხს მე ყოველთვის მივმართავ სიტყვით და არა შეიარაღებული ძალით და ჩემს მოწოდებასაც ის მხარს უჭერს. ამის მაგალითი სევასტოპოლმა მოგვცა, რომელმაც 24 საათში დააკმაყოფილა დროებითი მთავრობის მოთხოვნანი (მქუხარე ტაში).

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა კერძო თათბირზე ცნობები მოჰქონდათ ქალაქში მოსიარულე დელეგატებს. ამ ცნობებით ამ დღეს მოსალოდნელი გამოსვლა არ მოხდა. გარნიზონის ჯარების დიდმა უმრავლესობამ თავიანთ რეზოლიუციებში ის აზრი გამოსთქვა, რომ სავსებით მხარი დაუჭირონ საბჭოთა ყრილობის რეზოლიუციას. პრეზიდიუმის წევრმა დანმა განაცხადა: „რადგან პრეზიდიუმი მთელი ღამის უძილობით გათენების გამო ფრიად დაღალულობას გრძნობს, სიეზდის კრება მეორე დღისთვის გადასდეს“. პრეზიდიუმი სთხოვს წევრებს დანარჩენი დღე თავრიდის სასახლეში გაატარონ, რადგან შესაძლოა ისევ საჭირო დარჩეს ქალაქში ჩამოვლა. საღამოს ექვს საათზე ქალაქში სრული სიწყნარე იყო.

მეორე დღის კრებაზე განაგრძეს ომთან დამოკიდებულების შესახებ საკითხის განხილვა. ფრონტის წარმომადგენლებმა ვილენკინმა და ს.-რევოლ. საჯაიანმა კრიტიკა გაუკეთეს ლენინს. მარტოვის აზრით რუსეთის დემოკრატიამ აშკარათ უნდა მოითხოვოს ხელშეკრულობების გადასინჯვა, მოითხოვოს დაუყოვნებლივ დაიწყონ ზავის შესახებ მოლაპარაკება და ყველა ფრონტზე დროებითი ზავი, გამოაცხადონ, რუსეთის სეპარატიული ომი ისე საშიში არ არის, რადგან რევოლიუციონურ ხალხს საკმაო ძალა შესწევს თავის ფარგლების დასაცავათ. რუსეთის რევოლიუციონურმა დემოკრატიამ უნდა განაცხადოს, რომ მას ეზიზღება როგორც გერმანიის იმპერიალისტების ჯაჭვები, ისე ინგლის-ამერიკის. ტროცკის საწინააღმდეგოთ წერეთელმა სთქვა, რომ ერთი უმნიშვნელო ჯგუფის შეცთომებზე მეტი ითქვა, რადგან შემცთარ პოზიციის გამო კონტრ-რევოლიუციას კარებს უღებენ. ტროცკიმ ილაპარაკა მოკავშირეებისადმი ულტიმატუმის შესახებ. მე ვეკითხები შესაძლებელია თუ არა ხალხს ულტიმატუმებით ველაპარაკოთ. ამ სიეზდზე არის დემოკრატია, რომელიც არ ეთანხმება ტროცკის, რატომ არ უნდა დაუყენოთ მას ულტიმატუმი (ტაში). ბოლშევიკებმა პირველ რიგში წამოაყენეს სეპარატიულ ომის ლოზუნგი, ამგვარ ომით მოკავშირენი არავითარ ზარალს არ ნახავდენ, მხოლოდ რუსეთის დემოკრატია დარჩებოდა განცალკევებული და მას მხარს არავინ დაუჭერდა. შეტევის საკითხის შესახებ წერეთელი ამბობს, რომ ეს რევოლიუციისთვის სამკვდრო სასიცოცხლო საკითხია. შეტევა—თავდაცვის საუკეთესო საშვალებაა, ამიტომ საჭიროა ჯარი მზათ იყოს შეტევისთვის. ბოლშევიკები მოუწოდებენ ჯარს არ გაინძრეს, მაგრამ ჯარი იღუპება უმოქმედობით. ჯარის შეტევის წინააღმდეგი არიან ბოლშევიკები და აქ შინ მოუწოდებენ მუშებს აქ მოახდინონ შეტევა. ჩვენ ვებრძვით ბოლშევიკებს, რადგან აქ ჩვენი რევოლიუციის სუსტი ადგილია (მქუხარე ტაში). პლეხანოვი მოუწოდებს ყრილობას უკუაგდოს მტრის უღელი.

თორმეტ საათზე კრება შესწყდა. მენშევიკები და ს.-რევოლიუციონერები თათბირობენ, რა ზომები მიიღონ მოსალოდნელ გამოსვლის შესახებ.

თავისუფლებას.

1.

შენზედ სიმღერად განმზადილს შემომაღამდა გზაზედა...
ავაწყვე მწირი ჩანგური მწუხრის ნაღვლიან ხმაზედა...
მტრალი მწყემსის ჰანგები მიმოიფანტა მთაზედა...

2.

ბევრთ, ჩემთან მავალთ, ამაყად წყვდიადში სვლა არ იმძიმეს—
და ჭოტთ—ბნელეთის დარაჯთა—ხმაური ამ გზით ისმინეს...
უფსკრულმა შთანთქა მრავალი, იქ საუქუნოდ იძინეს...

3.

გათენდა... ცრემლი მერევა: ვუმზერ მომღერალთ გუნდებსა...
შეგითხზან ჰიმნი ახალი. არ გასმენ შაირს ყურგებსა:—
ტყვეობას ჩვეულ სიტყვასა უცბად ვერ ავხსნი ხუნდებსა.

იახამანი.

ახალი ამბები

◆ **ერობა კავკასიაში.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტთან არსებულმა თათბირმა მოისმინა რა ნოე რამიშვილის მოხსენება ამიერ კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ, დაადგინა: შემოღებულ იქნას ამიერ კავკასიაში ერობა რუსეთში არსებულ ერობათა საფუძველზე. არჩევნები მოხდება საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით. შემოღებული იქნება წვრილი საერობო ერთეული.

◆ **გაიფიცენ** თფილისის კოოპერატივის მოსამსახურენი. გაფიცვა გამოიწვია იმ მოთხოვნათა არ დაკმაყოფილებამ, რომლებიც მათ ამას წინეთ კოოპერატივის გამგეობას წარუდგინეს.

◆ **ბოროტ-მოქმედება შაქრის მიღების დროს.** მეოთხე საუბნო სასურსათო კომიტეტმა ბოროტ მოქმედება აღმოაჩინა შაქრის მიღების საქმეში. ბევრი არ არსებული სახლის პატრონები და მდგმურები ღებულობდენ თურმე შაქარს ყალბი წიგნების საშვალებით. ორი კაცის წინააღმდეგ კომიტეტმა უკვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე.

◆ **ინჟინერი ზავალიშინის დაპატიმრების** შესახებ, რომელიც ამიერ კავკასიის სამხედრო სამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარეთ ითვლება, ცენტრალური სამხედრო სამრეწ. კომიტეტის თავმჯდომარე მინისტრათ ნამყოფმა ა. ი. გუჩკოვმა საგანგებო კომიტეტს მუქარის დეპეშით მიმართა, სადაც ის აზრია გატარებული, რომ კომიტეტი უკანონოთ მოექცა ზავალიშინს და ის დაუყონებლივ უნდა გაანთავისუფლოთ. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა ამის შესახებ დეპეშა გაუგზავნა მინისტრთა თავმჯდომარეს და აცნობა, რომ გუჩკოვის ასეთ გამოსვლას კონტრ რევოლიუციონური ხასიათი აქვს, ის იცავს საზოგადო მოღვაწეს კი არა, არამედ ძველი მთავრობის მომხრე მოხელეს, რითაც დროებითი მთავრობის წარმომადგენლებს სახელს უტეხს, მაგრამ ის ასეთი საშვალებებით მიზანს ვერ მიაღწევსო.

◆ **ამიერ კავკასიის კოოპერატივთა** წარმომადგენლების ყრილობა გაიხსნება ხვალ 15 ივნისს.

◆ **მიწათ მოქმედების რწმუნებული** კ. ი. შაშკოვსკი ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის დადგენილების თანახმად დათხოვნილ იქნა სამსახურიდან. საგანგებო კომიტეტმა დაადგინა: გუბერნატორების დათხოვნა სამსახურიდან ხდებოდეს დროებითი მთავრობის განკარგულებით, მხოლოდ მათი დათხოვნის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილება საგანგებო კომიტეტს გამოაქვს.

◆ **კახეთის რკინის გზის** გაკეთებაზე როგორც თფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა ყრილობაზე წარდგენილ მოხსენებიდან სჩანს დახარჯულა 17,801,847 მან. გასულ წელს, საერთო შემოსავალი 1.084 080 მან. გასავალი—1.236 176 მ. ასე რომ, გზას ზარალი უნახავს 152.096 მ.ნ.

◆ **სოციალ-დემოკრატიული გამოცემანი.** რ. ს. დ. მ. პ. თფილისის ბიუროს კომიტეტში (გოლოვინის პროსპ. № 12) იყიდება შემდეგი წიგნები რუსულ ენაზე: „საყოველთაო საარჩევნო უფლება“, „ძირს სოციალ-დემოკრატები“, „სოციალ-დემოკრატია და საქალაქო არჩევნები“, „სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მუნიციპალური პლატფორმა“, „აგრარული პროგრამათა კრიტიკა“. იქვე იყიდება სოც. დემ. მუშათა პარტიის პროგრამა რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე.

◆ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: 4 ივნისს ქ. ოზურგეთში სამსონ ხურციძის ოჯახიდან წავიდა ვაჟი თოთხმეტი წლისა ვალერიან, (ვალიკო) ხურციძე და მერე აღარ მობრუნებულა. ვინც იცის მის შესახებ რამე გთხოვთ აცნობოთ ქ. ოზურგეთში სამსონ ხურციძის ოჯახობას ან თფილისში ქალაქთა კავშირის მეთერთმეტე ლაზარეთში მის დედას მარიამ ხურციძეს.

◆ **მოხსენება ქართველ ისრაელებზე.** დღეს, საღამოს 8 საათზე სათავად-აზნაურო დარბაზში ქართ. ისტორ.-ეთნოგრაფიული საზოგადოება გამართავს სხდომას, რომელზედაც იოსებ ხანანაშვილი წაიკითხავს ქართულად მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ისრაელ-ქართველთა ისტორიული, ანთროპოლოგიური და ეთნოგრაფიული მიმოხილვა“. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. შესვლა უფასოა

◆ **კ. დ. ბალმონტი.** თფილისში ჩამოვიდა რუსეთის ცნობილი პოეტი კ. დ. ბალმონტი. ის თფილისში სამს ლექციას წაიკითხავს.

◆ **მეორე სამილიციო საუბნო** საარჩევნო კომიტეტი მოთავსებულია ჭავჭავაძის ქუჩაზე, სახ. № 9. დაწესებულია წევრთა მორიგეობა დილ. 10—1 საათ. და საღ, 6—8 საათ. კომიტეტი წინადადებას აძლევს იმ ამხანაგებს და მოქალაქეებს, რომლებიც სიაში არ იქნენ შეტანილნი, განაცხადონ ამის შესახებ კომიტეტში. იქვე შეიძლება რ. ს. დ. მ. პარტიაში წევრათ ჩაწერა და პარტიული ლიტერატურის შეძენა.

◆ **თფილისის კლუბების პატრონთა** კავშირი შესდგა.

◆ თანახმა საზოგ. „ალორძინების“-ს გამგეობის დადგენილების—გამგეობიდან გამოსულ წევრებს ერაძის და ჭიაბეროვის მაგივრათ მოწვეულნი არიან ი. ფარნიევი და დენისოვი.

◆ **მესამე სამილიციო საუბნო** საარჩევნო რ. ს. დ. მ. პ. კომიტეტის 14 ივნისის კრებაზე იწვევს პარტიის ყველა წევრებს და აგრეთვე თანამგრძნობთ კომიტეტის ბიუროს სადგომში—მესამე საქალებო გიმნაზიაში, დღის წესრიგში: „მუნიციპალური პლატფორმა და საქალაქო არჩევნები“. მომხსენებელია გ. ხარქისოვი, საარჩევნო კამპანიის ორგანიზაცია მესამე უბანში. სასურველია სამხედრო პირთა კრებაზე დასწრება. კრება გაიხსნება საღამოს 7 და ნახ. ს.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის** წინააღმდეგ უკანასკნელ ხანებში საყვედური გაისმის—წერილებს და საფოსტო ამანათებს დროზე ვერ ვღებულობთო. ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა ასე ხსნის ამ მოვლენას: თებერვლის რევოლიუციის შემდეგ რუსეთიდან 6—7 დღეს ფოსტა მუდამ იგვიანებდა. უკანასკნელათ ამას დაემატა შემდეგი: რკინის გზის ხიდები დაინგრა და მოძრაობის საქმე შეფერხდა დონის-როსტოვში და სად. სებრიაკოვოში. 19 აპრილს შემდეგ როსტოვიდან წესიერათ აღარ მოდის ფოსტა. ამ ხნიდან 22 მაისამდე რუსეთიდან ფოსტა არ მოსულა, 26 მაისს მოვიდა 2 ვაგონი წერილები. ამის შემდეგ დრო გამოშვებით მოდის მეტის-მეტად დაგვიანებულათ. უკანასკნელათ ასეთი დაგვიანებული დიდძალი ფოსტა მოვიდა და რომ მოსამსახურეებს თავგამოდებით არ ემუშავნათ, მის გარჩევა-დარიგებას დიდი დრო მოუნდებოდა. მოსამსახურეებმა კი, 40 დღეში გასაკეთებელი საქმე სულ რაღაც 3—4 დღეში გააკეთეს.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 6 საათზე, მესამე შემნახველ-გამსესხებელ ამხ. კანტორაში (ვერის დაღმართი № 21) შესდგება რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე კომიტეტის საგანგებო კრება.

— ხვალ, 15 ივნისს, საღამოს 5 საათზე, დანიშნულია კრება სოც.-დემ. პარტიის მე-9 კომისარიატის საქალაქო საარჩევნო კომიტეტის წევრებისა მესამე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის კამერაში (ტურგენევის ქუჩა) ვთხოვთ ამხანაგებს უეჭველად გამოცხადდენ.

— **დამფუძნებელი კრება** ქართველ ტეხნიკურ საზოგადოებისა მოხდება 16 ივნისს, საღ. 8 საათზე, დეპუტატთა საკრებულოში (ბელინსკის ქ. № 2) საბჭო სთხოვს ყველას, ვისაც სურვილი აქვს საზოგადოებაში მონაწილეობისა—ინჟენერი, ტეხნიკოსი, მიწის მზომელი და სტუდენტ-ტეხნიკოსი დაესწრონ კრებას. განსახილველია დასამტკიცებელი საზოგადოების წესდება, მოხსენება საბჭოსი, სექციებისა და მიმდინარე საკითხები. წევრათ ჩაწერა შეიძლება კრების გახსნამდე.

— დღეს, 14 ივნისს საღამოს 7 საათზე დანიშნულია მე-2 რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. კრება გაიმართება კოლექტივის ბიუროში. ვთხოვთ ამხანაგებს აუცილებლათ მობრძანდნენ და არ დაიგვიანონ.

— რესტორანების, კლუბების, სასტუმროების, სახიე საყავეების და სხ. დაწესებულებათა მოსამსახურეების პროფესიონ. კავშირის გამგეობა აუწყებს წევრთ, რომ გაგრძელება წრიულ საზოგადო კრებისა დანიშნულია 14 ამა თვეს, დილის 9 საათზე, მესამე საქალო გიმნაზიის შენობაში. დღის წესრიგი: გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება, დამტკიცება ანგარიშისა და სხვა კითხვები.

— დღეს საღამოს 7 საათ. პირველი უბნის (ვერა) სოც.-დემოკრატიულ საარჩევნო კომიტეტის კრება შესდგება, მეექვსე საქალო გიმნაზიაში (უდელის ქუჩა № 3). ამხანაგებს სთხოვენ ნუ დაიგვიანებენ.

ქალაქის საბჭოს არჩევნების შესახებ.

თფილისში ახლო მომავალში უნდა მოხდეს ქალაქის საბჭოს არჩევნები, საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით, განურჩევლათ სქესისა. რადგანაც ასეთი არჩევნები პირველია, ამიტომ საჭიროა გაითვალისწინოთ როგორც არჩევნების ტეხნიკა, ისე ყველა ის საშუალებანი, რომელთა წყალობით შეგვეძლება უფრო ადვილად განვახორციელოთ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრა.

დროებითი მთავრობის მიერ გამოცხადებული კანონით არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია რუსეთის ყველა მოქალაქეს განურჩევლათ სქესისა, ვისაც საარჩევნო სიების შედგენის დაწყებამდე შეუსრულდება 20 წელი. საარჩევნო უფლება არა აქვთ: ღირსება აყრილთ სასჯელის მოხდის შემდეგ სამი წლის განმავლობაში, ბერ-მონაზონთ, შეშლილთ და ყრუ-მუნჯთ. ამგვარათ არჩევნები საყოველთაოა. პირველი გადასაწყვეტი საკითხია, მაშასადამე, გამორკვევა ამომრჩევლებისა და მათი სიების შედგენა. თფილისში სიების შედგენას შეუდგნენ და ახლო მომავალში ის გამოქვეყნდება. ეს სიები ეჭვს გარეშეა, სრული და სავსებით სწორი არ იქნება. ბევრი ამომრჩეველი სიებში გამოტოვებული იქნება და ზოგი უკანონოთ შეტანილი. სიების შესავსებათ და შესასწორებლათ საჭიროა მათი გავრცელება ფართე მასსაში, დემოკრატიულ წრეებში.

მაგრამ საყოველთაო არჩევნების უფლების განსახორციელებლათ არა კმარა ამომრჩევლების სიებში შეტანა. ტეხნიკა არჩევნებისა ძალიან ხშირათ მოქალაქეთ იმისთანა მდგომარეობაში აყენებს, რაიც ზღუდავს საყოველთაო არჩევნებს და შეუძლებლათ ხდის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ყველა იმათთვის, ვისაც ამის უფლება აქვს. მაგალითად, არჩევნების დანიშვნა სამუშაო დღის და ისეთს დროს, როდესაც ყველა მუშები სამუშაოზე არიან და სხვა მუშებს უსპობს საშუალებას არჩევნებში ჯეროვანი მონაწილეობა მიიღონ. ყველა ვერ შესძლებს დაანებოს მუშაობას თავი და ჯარიმა გადიხადოს. ასევე მოხდება თუ არჩევნები დანიშნული იქნება სამუშაო დღესვე საღამოთი. მაშინ დაღალული მუშა, იშვიათის შეგნების უნდა იყოს, რომ დაღლილობის მიუხედავათ წავიდეს საარჩევნო ბიუროში მონაწილეობის მისაღებათ. ჩვენ ამ მავნე მოვლენას თავიდგან ავიცილებთ, რადგანაც კანონის ძალით არჩევნები უნდა მოხდეს კვირა ან უქმე დღის. მაგრამ არის საკმაო დიდი ნაწილი მუშებისა, რომლებიც კვირა უქმეობითაც მუშაობენ: ტრამვაი, რკინის გზის მუშები, ხიდზე მოსამსახურენი, რესტორანებში და სასტუმროებში მომუშავენი, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი, და სხვა. ამ დარგის მომუშავენი უნდა განთავისუფლებულ იყვნენ არჩევნების დღეს სამუშაოდან, ხოლო სადაც ეს შეუძლებელი იქნება უნდა დაკანონდეს არჩევნების დღეს ნახევარი დღით მათი განთავისუფლება, ან შეცვლა მომუშავეთა მეორე წყებით განსაზღვრულ დროს. ამის განსახორციელებლათ საჭიროა ეხლავე გამართონ მოლაპარაკება მუშებმა ხაზეინებთან და მოხელეებმა უფროსებთან და გამოარკვიონ, როდის ვინ იქნება თავისუფალი, რომ ყველას შეეძლოს არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საარჩევნო ბიუროს ადგილს. წარმოვიდგინოთ მაგალითად ქ. თფილისის მეათე უბნისთვის არჩევნები დანიშნულია სახალხო სახლში. ეს სახლი არის მეათე უბნის განაპირას და მალაკნის ქუჩაზედ მცხოვრებისათვის ან რკინის გზის მუშებისათვის საძნელოა ასე დიდ მანძილზე მიმოსვლა. მდიდარი კაცისათვის ძნელი არ არის ეტლით, თავის ცოლით და მოზრდილი შვილებით მივიდეს საარჩევნო ბიუროში, მაგრამ ღარიბისათვის წვრილშვილის პატრონისათვის საძნელოა ქმარმაც და ცოლმაც დასტოვოს დიდის ხნით ოჯახი, ბავშვები უპატრონოთ, ამიტომ ერთერთი უფროსთაგანი იძულებული იქნება არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღოს, ამ გვარათ თუ ადგილი უხერხული იქმნება დანიშნული, საყოველთაო არჩევნების განხორციელება შეუძლებელი გახდება. ამიტომ აუცილებელი საჭიროა საარჩევნო უბნის დაახლოვება ამომრჩევლებთან, და ქალაქის დანაწილება მრავალ საარჩევნო უბნებათ, რომ ყველას შეეძლოს მიიარბინოს ბიუროში, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, მალე დაბრუნდეს, სახლში, რომ შემდეგ სხვა წავიდეს ხმის მისაცემათ.

აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ბინას-სადაც ხდება არჩევნები. თუ ბინა პატარაა და იქ სდგას ერთი ყუთი, მაშინ ამომრჩევლებს მოუხდებათ ლოდინი ცის ქვეშ ან სიცხეში ან ავდარში. ამას კი ყველა ვერ შესძლებს და ბევრი მოსულთაგანი დიდი ხნის ლოდინის შემდეგ უკან დაბრუნდება, აგრეთვე ვერ ისარგებლებენ ხმით დახარჩნი წევრები ოჯახისა და საყოველთაო ხმის უფლება განუხორციელებელი დარჩება. მაშასადამე აუცილებელია დიდი და ფართე შენობა, სადაც არჩევნები შეუჩერებლივ იქნება წარმოებული.

შემდეგ, არჩევნები უნდა იყოს პირდაპირი. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ამომრჩეველი თვითონ ირჩევს იმ პირს, რომელიც მისთვის სასურველია პირდაპირ ხმისნათ.

არსებობს სხვანაირი, ეგრედ წოდებული ორ საფეხურიანი არჩევნები ე. ი. მოქალაქენი ირჩევენ ამომრჩევლებს, ხოლო ეს უკანასკნელნი დეპუტატებს. ეს არა პირდაპირი არჩევნებია და დემოკრატიისათვის არა სასურველი. ამ შემთხვევაში ადვილია გავლენის მოხდენა ამომრჩევლების ჯგუფზე, მათი მოსყიდვა და სხვა.

მეოთხე და უკანასკნელი პირობა მომავლის არჩევნებისა არის ფარული კენჭის ყრა. ეს იმას ნიშნავს, რომ არავინ არ უნდა იცოდეს ვის აძლევს მოქალაქე ხმას. ფარული კენჭის ყრა აუცილებელი საჭიროა დემოკრატიისათვის, რადგანაც ის ხმას აძლევს თავისუფლათ იმას, ვისი არჩევანიც მისთვის სასურველია. ღია კენჭის ყრის დროს მუშა თავისუფლათ ვერ აძლევს ხმას, რადგანაც მას სამუშაოს დაკარგვისა ეშინიან, მოხელეს სამსახურისა და სხ. ამიტომ ხშირათ ღია კენჭის ყრის დროს ხმას აძლევენ არა იმას, ვინც თითონა სურთ, არამედ იმას, ვისაც უჩვენებს ხაზეინი ან უფროსი. ხშირათ ფარული კენჭის ყრის წინააღმდეგ იტყვიან ხოლმე, რომ ყველას უნდა ჰქონდეს გამბედაობა ცხადათ გამოსთქვას თავისი აზრიო, მაგრამ ამისთანა გამბედაობა ხშირათ ძალიან ძვირათ უჯდება გამბედავს და ამიტომ არასასურველია. როგორ შეიძლება განვახორციელოთ ფარული კენჭის ყრის უფლება? არსებობს საარჩევნო ბიულეტენი, ამ ბიულეტენში იწერება გვარი, სახელი და მამის სახელი იმ პირებისა, რომელთა არჩევნები სასურველია, შემდეგ ეს ბიულეტენი უნდა ჩააგდოს საარჩევნო ყუთში. მაგრამ ეს ყველაფერი შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ ამომრჩეველმა წერა-კითხვა იცის. როგორ მოიქცეს ის ვინც წერა-კითხვა არ იცის? სხვას დააწერინოს! ეს ფარული კენჭის ყრა აღარ არის. ამისათვის საჭიროა ყველა პარტიამ და ჯგუფმა, რომელიც გამოდის არჩევნებში საკუთარის სიებით, თავის კანდიდატთა სიები დაბეჭდოს სხვადასხვა ფერის ქაღალდებზე. მაგ. თუ მუშათა პარტიამ თავის სიები დაბეჭდა წითელ ქაღალდზე სხვა პარტიას ან ჯგუფს აღარ აქვს უფლება წითელ ქაღალდზე დაბეჭდოს თავის სიები, მან უსათუოდ სხვა ფერი ქაღალდი უნდა ამოარჩიოს და აი საარჩევნო აგიტაციის დროს ყველას უნდა გავაგებინოთ წითელ ქაღალდზე დაბეჭდილი სიები არის მუშათა პარტიისა, რომლის პროგრამმა საქალაქო მოღვაწეობაში ასეთია, ლურჯ ქაღალდზე დაბეჭდილი სიები კადეტებისაა, რომელთა პროგრამმა ასეთია და სხვა. წერა-კითხვის უცოდინარი კაცი თვითონ გადასწყვეტს, რომელ პარტიას უფრო თანაუგრძნობს, იმის სიას ჩააგდებს საარჩევნო ყუთში. აქ ერთი უხერხულობა არის თუ წითელს ბიულეტენს ჩააგდებს ყუთში ამომრჩეველი ბიუროს წევრები დაინახავენ და გაიგებენ, რომ ამა და ამ კაცმა მუშათა პარტიას მისცა ხმა და მაშასადამე ფარული კენჭის ყრაც ირღვევა, ამის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა საარჩევნო შენობასთან იყოს რამოდენიმე სრულიად ცარიელი, თავისუფალი ოთახი. როდესაც ამომრჩეველი მიიღებს საარჩევნო აგიტაციის დროს რამოდენიმე ბარათს, ის ამოარჩევს მისთვის სასურველს, შევა ამ თავისუფალ ოთახში, სადაც მრავალი კონვერტები უნდა იყოს, ან ამ ოთახში შესვლის დროს უნდა მიიღოს სქელი ქაღალდის კონვერტი, ჩასდებს მასში სასურველს ბიულეტენს, და მოვა საზოგადო დარბაზში და იქ ყველას თანასწორებით მისცემს ხმას.

ვ. ხ.

სოციალდემოკრატიულ პარტიაში.

ტფილისის მესამე რაიონულ კოლექტივის კრება.

ხუთშაბათს, 8 ივნისს მოხდა მესამე რაიონის კოლექტივის მორიგი კრება ამხ. არამ. ერზინკიანცის თავმჯდომარეობით.

კოლექტივმა მოისმინა „პოდრაიონების“ მოხსენებანი ქალაქის თვითმართველობის არჩევნების გარშემო მომხდარ მუშაობის შესახებ. როგორც სჩანს მთელი ავლაბარი დაყოფილი არის რამდენიმე „პოდრაიონათ“. არსებობს ადგილობრივი საარჩევნო კომიტეტები. გამონახულია ბინები და დანიშნულია ზოგ ალაგას საარჩევნო კრებები.

დიდის ყურადღებით მოისმინეს კოლექტივის წევრებმა ამხ. თავმჯდომერეს მოხსენება პარტიაში რასკოლის, ბოლშევიკების პარტიიდან გასვლის შესახებ. მოხსენებაში ის აზრი იყო გატარებული, რომ თანამედროვე რევოლიუციონურ ხანაში, როდესაც ერთსულოვან მუშაობისკენ უნდა იყოს მიმართული მუშათა პარტიის მთელი ძალღონე, ბოლშევიკების რასკოლი სოციალდემოკრატიას გარდა ზიანისა, არაფერს კეთილს არ მოუტანს. შეუძლებელია ამხ. თავმჯდომარეს აზრით, რომ პარტიაში არ არსებობდეს აზრების სხვადასხვაობა ტაქტიკურ კითხვების შესახებ, მაგრამ სხვადასხვაობა ნებას არ აძლევს დიდ პასუხისმგებ დროს პარტიის გაყოფას და მუშებში და წევრებში არევ დარევის შეტანას. ამხ. ერზინკიანცის აზრით უნდა მოუწოდოთ ამხ. ბოლშევიკებს, რომ მათ ისეთი რამ არ ჩაიდინან, რითაც გაახარებენ ჩვენ მოწინააღმდეგეებს.

აგრეთვე თავის აზრი გამოსთქვა ერთმა ბოლშევიკმა, რომელმაც დაგმო რასკოლი. კოლექტივმა რეზოლიუცია გამოიტანა ბოლშევიკების შესახებ.

9 ივნისს, ავლაბრის თეატრში მოხდა მესამე რაიონის საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. ა. ერზინკიანი, სეკრეტრათ ამხ. მ. გორდიშიანი. დღიური წესრიგი იყო: 1) საოლქო სიეზდისთვის დელეგატების არჩევა; 2) კოლექტივის წევრების არჩევა; 3) მუნიციპალური არჩევნები. მცირე კამათის შემდეგ რაიონულმა კრებამ საოლქო სიეზდისთვის აირჩია შემდეგი რვა ამხანაგი: ნათაძე, ერზინკიანცი ა., დგებუაძე ა., აზატიანი ა., თუმანიანცი ა., წიწიაძე მ., აბხაზავა გ., კარაჯიანი გ. კანდიდატებათ: შანიძე ი., კაპანაძე, ქლენტი და მარკარიანი მ.

რაიონულ კოლექტივის წევრებათ არჩეულ იქმნა: ვართანიანი ა., დვალი, გორდიშიანი გ., აკოფოვი, ჯომბერიძე და შუმოვსკი.

არჩევნების შემდეგ რაიონულ კრებას ამხ. ერზინკიანცმა მოხსენება გაუკეთა ქალაქის თვითმართველობის არჩევნების გარშემო მომხდარ მუშაობის შესახებ.

ა. თ.

სურამი.

აქ შესდგა დამფუძნებელი კრება რ. ს. დ. მ. პ. სურამის ორგანიზაციისა. დაესწრო 50 კაცი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა კ. ნინიძე, მდივნათ ოვანეს დავითიანი. ამხ. თავმჯდომარემ გააცნო დამსწრეთ მოკლეთ სოც.-დემ. პროგრამმა, რის შემდეგ არჩეულ იქნა სურამის კომიტეტი, რომელშიაც შედიან: შ. ხიდირბეგიშვილი, კ. ნინიძე, ო. დავითიანი, სარდიონ მამალაძე, ზ. ლომინაძე, რ. პაპავა, კ. წუწუნავა, გ. ბეჭიაშვილი, ვ. მგელაძე და ნ. ჯობაძე.

კომიტეტის კრება მოხდა 7 ივნისს, რომელმაც აირჩია ბიურო. თავმჯდომარეთ ბიუროსი არჩეულ იქნა შ. ხიდირბეგიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგათ ს. მამალაძე, მდივნათ ო. დავითიანცი და მოლარეთ ნ. ჯობაძე. კომიტეტმა დაადგინა დაიქირაოს ცალკე ბინა ბიუროსთვის და შეუდგეს მუშაობას.

სად. ჯუმათი.

კვირას, 3 ივნისს შესდგა სუფსის რაიონული ს. დ. პარტიის წევრთა კრება. თავმჯდომარეთ არჩეული იქმნა ვ. გუჯაბიძე, მდივნათ სპ. ქლენტი. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: დელეგატების არჩევა კავკასიის პარტიულ სიეზდზე და გურიის სამაზრო პ. კომიტეტში. კოლექტივის წევრების არჩევა და დამტკიცება. ქალთა წრის შესახებ. ჯაშუშების სიის განხილვა. შემდეგ კრებამ წევრთა რაოდენობის მიხედვით აირჩია კავკასიის სიეზდზე დასასწრებლათ 2 დელეგატი ამხ. ვ. გუჯაბიძე და ბ. გურგენაძე. კოლექტივის წევრებათ არჩეული იქმნა და დამტკიცებული შემდეგი პირები: ბ. კვაჭაძე, ბ. მითაიშვილი, ვ. ამყანდაძე, ს. ტიკარაძე, ნ. ანდღულაძე, გ. კომახიძე, ა. ცეცხლაძე, მ. ჯიჯიეიშვილი, გ. ძნელაძე, ნ. ანთაძე, ერ. ტულუში, მ. პოლშინი, ვლ. ჩხაიძე, ყ. ტულუში. შემდეგ წაკითხული იქმნა ჯაშუშების სია, რომელიც კომისიას აღმოუჩენია ოზურგეთის საადმინისტრაციო არქივში და დაუნაწილებია პირველ და მეორე კატეგორიათ. კრებამ იქონია მსჯელობა და დაადგინა: ხსენებული ჯაშუშთა სია გადაეცეს მთელ რაიონულ კომიტეტის წევრებს განსახილველათ და შესაფერი მსჯავრის დასადებათ. ქალთა წრის შესახებ კრებამ დაადგინა არ იქნას დაშვებული ცალკე ქალთა წრე. ქალებმა იმუშაონ მამაკაცებთან ერთათ თანასწორი უფლებით ყველგან. შემდეგ მოხსენება გააკეთა „ყველა-ებრაულის საზოგადოების“ კ. წარმომადგენელმა ამხ. ყ. ტულუშმა. შემდეგ კრებამ მოახდინა არჩევნები გურიის სამაზრო კომიტეტის წევრების. ფარული კენჭის ყრით აირჩიეს სამაზრო კომიტეტში ბაბი გურგენაძე, ვ. გუჯაბიძე და ყარამან ტულუში.

ნარიმან.

ლეხაინდრავო ონოღიის საზოგადოება.

28 მაისს, საღ. 9 ს. მოხდა ადგილობრივ რუს. სოც. დემ. მუშ. პარტიის წევრთა კრება. თავმჯ. აირჩიეს ე. წირქვაძე, მდივნად ივანე ხაინდრავა. სენაკის მაზრის კომიტეტის წევრმა ამხ. ჩიქოვანმა მოხსენება გააკეთა დღევანდელ მომენტზე, აგრეთვე გააცნო პროგრამა და განმარტა სხვადასხვა კითხვები. ბოლოს კრებამ დაადგინა ლეხ.-ონოღიის საზოგადოება დაიყოს სამ ნაწილათ. 1) ლეხაინდრავო და ნაწილი ნაჯახოვოსი, 2) ნაგებერავო და მეორე ნაწილი ნაჯახოვოსი, 3) ონოღია, ლეხაინდრავო და ნაწილი ნაჯახოვოს ხელმძღვანელ ჯგუფში არჩეულ იქნენ: ი. ბართაია, ნ. ბართაია, რომანოზ დანელია, ი. ხაინდრავა, ილარიონ ბ. დანელია, დათა დანელია და ბ. დ. დანელია. ნაწილ ნაჯ. და ნაგებერავოში: სტ. ნაჭყეპია, ეპრ. წირქვაძე, ცუცუნია გაბოკიძე, ნელინა პატარაია, იონა ზაქარაია, ბ. გვილავა და ვერა გაბოკიძე, ხოლო ონოღიის ხელმძღვანელ ჯგუფში შედის: პართენი ჯიქია, სერგი ჯიქია, ნესტორ ქაჯაია, კაპი ქაჯაია, ლუკა ქაჯაია, ალათი დარჯანია და ანეტა ქაჯაია.

პარტიული საზოგადოების კოლექტივში შედის შემდეგი პირნი: ალ. გაბუნია, პართენი ჯიქია, სერგი ჯიქია, სტ. ნაჭყეპია, იონა ზაქარაია, იას. ბართაია და ალათი დარჯანია.

ამავე დღეს ღამის 11 საათზე გაიხსნა კრება კოლექტივისა ლეხ.-ონოღიის საზოგადოების რ. ს. დ. მ. პარტ. კრებას დაესწრო 5 წევრი კოლექტივისა. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ თავმჯ. ალ. გაბუნია, მდივნად სერგი ჯიქია, ხაზინადრად იონა ზაქარაია. სარაიონო კოლ. დელეგატები აირჩიეს ალ. გაბუნია, სტ. ნაჭყეპია და იას. ბართაია. კრებამ დაადგინა 30 მაისს მოწვეულ იქნას კრება კოლექტივისა და ყველა ხელმძღვანელ ჯგუფებისა.

პ. ონოღიელი.

მუშათა ცხოვრება.

ტფილისი. აქ საქონლის სადგურის ახლო ცლიან შეშას, ფიცარს და კუნძებს. აღებული აქვს „არტელს“ თვით პატრონებისაგან. ამ „არტელს“ ვერ გამოუჩენია იმდენი გამბედაობა, რომ ამ მძიმე მუშაობის ვაჭრებისთვის მოთხოვნილება წარედგინა და ეკონომიური მდგომარეობა ცოტათი მაინც გაეუმჯობესებინა. ამ ერთი თვის წინად თვით პატრონებმა შემდეგი წინადადებით მიმართეს მუშებს: გინდათ დასცალეთ დაუდევათ ოც მანეთად და თუ არა მაშინ ჩვენ თვითონ დავიქირავებთ მუშებსო. ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ მუშებს ახალი მოთხოვნილება არ წარედგინა და ძველზე დაკმაყოფილებულიყვნენ ამ საარაკო სიძვირის დროს. აქაური არტელი გაყვლეფილიც არის და თვით გამყვლეფელიც. ესენი ხშირათ იქირავებენ დღიურ მუშებს და დღეში აძლევენ შვიდ აბაზს, სამწუხაროთ, როდესაც მუშა [illegible] ყველუს [illegible] ჩაბავებს.

ხალ-ჩანი.

სად. აჯიკაბული. დიდი უმრავლესობა აქაური რკინის გზის მოსამსახურეებისა ქართველებია; შემდეგ რუსები და თათრები. ეს უკანასკნელები უმეტეს ნაწილად მსახურებენ გზის მცველებათ და რემონტის მუშებათ.

შეგნების მხრით დიდი უმეტესობა აქაური მოსამსახურეებისა ძრიელ ჩამორჩენილნი არიან, რასაც თავისი საპატიო მიზეზები აქვს. მაგრამ შეუწყნარებელია, რომ ასეთ მოვლენას აქაურ ქართველთა შორისაც ქონდეს ადგილი.

ძველი რეჟიმისაგან შექმნილი პირობები მოსამსახურეებს არ აძლევდა საშუალებას, ერთი მეორეს დაახლოვებოდნენ; ორგანიზაციულად შეკავშირებულიყვნენ და თავიანთ ჰირვარამზე ეზრუნათ. ეს იყო უმთავრესი მიზეზი აქაურ მოსამსახურეთა შეუგნებლობისა.

28 მაის სადგურ აჯიკაბულში მოხდა კრება.

კრებას დაესწრნენ ორასამდე რკინის გზის მოსამსახურენი.

მოწინავე ამხანაგების ინიციატივით მოწვეულ იყო ბაქოდან ამხ. ბოგდანოვი, რომელმაც მშობიური ენით მკაფიოდ გაარკვია სოც. დემოკრატიული პროგრამმა და გაკვრით სხვა პარტიების პროგრამმაც. ილაპარაკა დღევანდელ მომენტზე და ჩვენს ტაქტიკაზე—აგრარულ საკითხზე და სხვა.

შემდეგ აირჩიეს კოლექტივი: ამხ. კანკავა, ოგანეზოვი, ბოკერია და ოთხიც სხვა დეპოსა და რემონტის მუშებიდან.

გ. თ—ია.

გაზეთის სასარგებლოთ.

სილოვან კუტუბიძის სახსოვრად ნახევარი წლით გაზეთი „ერთობა“ გაუწერა აღესის ქართველ მუშებს მისმა ძმამ აქსენტი კუტუბიძემ.

ერასტი სართანიამ შეაგროვა 14 მ., ბაჯა მალანიამ 10 მ. 50 კ. ჩვენი გაზეთის ფონდისთვის.

სენაკის მაზრის კომიტეტის ხაზინადარი დ. ქობალავა.

სტამბის ფონდი.

ქალაქის კავშირის ცენტრალურ სახელოსნოს მუშებმა და კანტორის მოსამსახურეებმა შეაგროვეს თავიანთ შორის 93 მ. და 50 კ. პარტიული სტამბის ფონდისთვის, რასაც გიგზავნით.

ამხ. მინდობილობით გახო ზაქარაშვილი.

—

გიგზავნით 22 მანეთს სამებაში შეგროვილს სტამბის ფონდისთვის დანარჩენი 22 მ. 15 კ. ს. ჩოჩხათის სამკითხველოსათვის.

მიხაკო ელიაძე.

წერილები რედაქციის მიმართ.

ხოფ. ბაჯი. პატივცემულმა მკითხველმა საზოგადოებამ იცის, რომ 1906 წელს თფილისში სოფ. ბაჯის ახალგაზდობამ საზოგადოების დახმარებით 1,300 ცალი წიგნი შევიძინეთ სამკითხველოსათვის. მაგრამ ჩემი დაპატიმრების დროს ისიც ჩაუვარდა ხელში ძველ მთავრობას და შემდეგ ზოგი დასწვა, ზოგიც სახელმწიფო კუთვნილებათ გამოაცხადა და ჟანდარმთა სამმართველოს საწყობში შეინახა. მე კიდევ იმედი მქონდა, რომ ამ გადარჩენილ შენახულ წიგნებს, რომლებსაც ხსენებული სამკითხველოს ბეჭედი ჰქონდა დაკრული, როგორმე კიდევ ჩავიგდებდი ხელში, მაგრამ მიუხედავათ თფილისის აღმასრულებელ კომიტეტის ცდისა, რომელსაც რამდენჯერმე მივმართე თხოვნით და ბევრი ძებნის შემდეგ მაინც არ აღმოჩნდა იგი.

ევგენი დვალი.

მადლობას ვუცხადებთ მე-15 მსროლელი პოლკის კამანდირს შ.-კაპიტანს ევსევი ბარამიძეს, რათა კეთილ ინება და გამოგვიწერა ჩვენ, ამავე პოლკის ქართველ ჯარისკაცებს გაზ. „ერთობა“ რვა თვით.

ამხანაგების მონდობილობით შ. დედაბრიშვილი.

ჯარისკაცმა სოლომან სომხიშვილმა სოფ. ნიორის საზოგადოებას სამი თვით გამოუწერა გაზ. „ერთობა“, რისთვისაც ხსენებული საზოგადოება მადლობას უძღვნის მას.

მადლობას ვუცხადებთ ყველა იმათ, ვინც დახმარება გამიწია და საშუალება მომცა ჩემი შვილი თედორე მეგვანაძე, რომელიც ტრაპეზუნდში გარდაიცვალა, გადმომესვენებინა და სამშობლოში დამესაფლავებინა

მშობლები.

პეტროგრადში რევოლიუციის პირველ დღეებში დახოცილთა ოჯახების დასახმარებლად შეგროვდა მთავარ ანგელ. ეკლესიაზე 27 მან. 50 კ. გთხოვთ ეს თანხა დანიშნულებისამებრ გადაგზავნოთ.

სენაკის მაზრის კომიტეტის ხაზინადარ დ. ქობალავა.

მადლობას ვუცხადებთ ლიზა ფ. ჩიქოვანს, ესტატე კ. კუჭუხიძეს და ვლადიმერ ა. ბარკალაიას, რომლებმაც თავიანთ ნაცნობთა შორის დ. აბაშაში შეაგროვეს 110 მან. ნაესაკოვოს უფასო სამკითხველოსათვის. აგრეთვე მადლობას ვუცხადებთ ყველა იმ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და დ. აბაშაში 28 აპრილს გაიღეს თავიანთი წვლილი 110 მან. ზემო-ხსენებული სამკითხველოს სასარგებლოდ. მადლობის ღირსია აგრეთვე მიხეილ ბ. ჩიქოვანი, რომელმაც სოფ. ნაესაკოვოში ნაცნობთა შორის შეკრიბა 41 მან. ამავე სამკითხველოს სასარგებლოდ.

პატივისცემით გამგეობის თავმჯდომარე აბესალომ იობიძე.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

— ჯ. კ. აპალონა იულონსძე ფხაკაძე, მსახურებდა სპარსეთში მე-4 კავკასიის მესაზღვრე პოლკში 1 ბათალიონში, მე-4 სოტნიაში. მის შესახებ გვაცნობეთ რამე.

ქ. ქუთაისი მეექვსე ოკრუგი ალექსი პავლესძე მეძმარიაშვილი.

— ჯარის კაცი სამუილ ივანისძე თავაძე. მსახურებდა ქართველ მსროლელთა პოლკში, მე-5 როტაში. გთხოვთ ვინც იმის შესახებ რამე იცის მაცნობოს შემდეგი მისამართით: Д. Армія. Управл. 8-го Кавказскаго отдѣльнаго горнаго артилл. дивизіона С. Саникидзе.

გადასახლებული ვარლამ ასპინის-ძე გურული იმყოფებოდა ირკუტსკის გუბერნიაში ამ ერთის წლის წინეთ, როგორც ირკუტსკის პოლიცია გვატყობინებს, ის გამომგზავრებულა საქართველოსაკენ, მაგრამ სახლში ჯერაც არ მოსულა. ამიტომ გთხოვთ დაბრუნებულ ყველა გადასახლებულებმა თუ კი ვინმემ იცის რამე გვაცნობონ შემდეგი მისამართით: Чіатуры. Казначейство Шалва Гурули.

— ჯარის კაცი გიორგი ზალიკასძე დოლუბაია მსახურობდა მე-25 კავკასიის მსროლელ პოლკი მე-10 როტაში. ოთხი თვეა რაც მის შესახებ არაფერი ვიცით. გთხოვთ გვაცნობეთ თუ ვინმემ რამე იცის ხსენებულ პირის შესახებ, შემდეგი მისამართით: Ст. Караязы писару сѣнопрессовальной конторы Иларіону Начкебія.

— ჯარის-კაცი ილარიონი გიორგისძე ვერულაშვილი მსახურობდა კავკასიის მომქმედ ჯარში მე-14 კავკასიის მსროლელთა პოლკში, მეექვსე თვეა, რაც მის შესახებ მშობლებმა არაფერი იციან, და ყველას ვსთხოვ ვინც რამე იცის მაცნობოს შემდეგი მისამართით: 12 легкій мѣстный артиллерійскій паркъ Акакію Динитріевичу Макалатія.

— ჯ. კ. გიორგი ზაქარიასძე გაჩეჩილაძე, მსახურობდა კავკასიის ქვეითა მომქმედ ჯარში მე 13 მსროლელ პოლკში და მე-10 როტაში 1 ზვოდში. უმორჩილესათ ვსთხოვ ყველას თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ მაცნობოს შემდეგი მისამართით: К. Д. А. 39-я артиллерійская бригода 4-я горная батарея 2-й взводъ Виссаріону Захаріевичу Гачечиладзе.

— ჯ. კ. ბენიამე გიგოლსძე როყუა, მსახურობდა ქ. ბათუმში მე-221 სათადარიგო პოლკში მე-5 როტაში. გთხოვთ გვაცნობოთ. მისამართი: Озургеты Силаурская почта Выссаріону Русидзе.

— ნიტიფორე გიორგისძე სირაძე მსახურებდა, 1 Кавк. дивиз. управ. дивиз. коман. ვსთხოვ თუ ვინმეს რამე ცნობები აქვს შეატყობინოს შემდეგი მისამართით: Озургеты, комисару хварбетскаго общества Василію Сирадзе.

— პარმენ კონსტანტინესძე დოლიძე, მსახურებდა ქალაქ ფოთში სათადარიგო ბათალიონში 11 როტაში 3 ზვოდში მუშათა კამანდაში. სამი თვეა მის შესახებ არაფერი ვიცით. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: Ст. Джуматы Апалонъ Долидзе.

— აზრუმის მხარეზე სამხედრო გზაზე მუშაობდა პლატონ ბესარიონისძე დარბაიძე. ვთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გვაცნობოს შემდეგ მისამართით: ჭიათურაში გრიგოლ ფხალაძესთან ბესარიონ დარბაიძეს.

— ჯარის კაცი ნესტორ ჩიკაშუა მსახურებდა 579 პერმის დრუჟინაში 2 როტა 2-რე ზვოდში. ექვს თვეზე მეტია, რაც მის შესახებ არაფერი ვიცით. გთხოვთ გვაცნობოთ ნიგოითში მეისრე ფირდონ გოგეშვილს.

— ქ. ერივანში, სამხედრო გოსპიტალში გარდაიცვალა 7 მაისს, ჯ. კ. ფილო ცხვიტია, ზუგდიდის მაზრის მცხოვრები. დასაფლავებული არის ერძინჯანში სამხედრო სასაფლაოზე.

ჯ.-კ. ნ. რობაქიძე.

— ჯ. კ. მიხეილ ბეჟანისძე კახნიაშვილი მსახურებდა ჩვენთან 8-რვე სამხედრო ტრანსპორტში, 28 ბათალიონში იანვრის 15 გახთა ავათ და თებერვლის 28 ს გარდაიცვალა. ჯიბეზე აღმოაჩნდა 126 მანეთი 10 კაპ. ვთხოვთ პირისუფალთ მიმართოს შემდეგი მისამართით: К. Д. Армія 109 Кавказскаго военно четверочнаго транспорта 24 кавказсскаго обознаго баталіона писару Висаріону Степеновичу Челидзе.

— ჯ. კაცი ივანე სიმონისძე კვაჭაძე მსახურებდა კავკასიის მომქმედ ჯარში პირველ მზიდავ ტრასპორტში. ვთხოვ ყველას ვინც რამე იცის, მაცნობოს შემდეგი მისამართით: ოზურგეთი, სოფელი ბახვი, ლუკა კვაჭაძეს.

რედ.-გამომცემელი ვლ. ა. ბოხოხაძე.

Съ 4-го мая въ г. Тифлисѣ выходитъ ежедневная газета на русск. языкѣ

БОРЬБА

Органъ Закавк. Областнаго и Тифлисскаго Комитетовъ Россійской Соц.-демократической Рабочей Партіи.

Подписка какъ городская, такъ и иногородная принимается въ конторѣ „Ганатлеба“ (Ольгинская № 6). Деньги для подписки адресовать: Тифлисъ, почт. ящ. 96 Сильвестру Ремановичу Таварткиладзе.

Корреспонденціи и статьи направлять по адресу: Тифлисъ, Головинскій пр. № 12 для редакціи «Борьба“.

Подписная цѣна на годъ 15 р., на 6 мѣс. 8 р., 3 м. 4 руб. 20 к., 1 мѣс. 1 р. 40 к.

ს. თფილისში, ოლღის. ქ. №6, ა.-განათლების კანტორა და წიგნის მაღაზია

„განათლება“-ში

იყიდება უმდაბლესი ქართული წიგნები, რომლებიც გაეგზავნება მსურველთ ფული გამოგზავნისთანავე.

მიიღება აგრეთვე ხელმოწერა ყველა ადგილობრივი ქართულ-გაზეთებზე „ერთობა“, „ბორბა“, „კავკ. რაბოჩი“, „მშრომელის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „საქართველო“, ჟურნ. „განათლება“, „კავკასიურ სიტყვა“, „მაიჭარი“, და ყველა ახლად გამოსული წიგნები.

ფული და წერილები უნდა გამოგზავნოთ შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ. Телеф. № 3—44.